პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

წლიწადი მესამე

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პრო სპექტი, № 24 მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24
ტელეფ. 5—48

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში 6.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—6 500.000 კოლექტ. ხელის მოწ. 4.000 000 მანეთი განცხადება 15 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 205 პარასკევი, 7 სექტემბერი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 250,000 მან. № 205

დ ღ ი უ რ ი

— მიწის ძვრამ იაპონიაში გაანადგურა 11 ქალაქი და მთელი პროვინციები. იოკოგამა წყალმა დაფარა. საბჭოთა კავშირი ეხმარება დაზარალებულთ სურსათ-სანოვაგით.

— იტალია ჯარებს გზავნის ალბანეთის საზღვრებზე. ერთა ლიგა შეუდგა კონფლიქტის განხილვას, მაგრამ [illegible] დელეგატის მოთხოვნით საკითხი გადაიდო. [illegible] ფიქრობენ, რომ ლიგა ვერ მოაგვარებს კონფლიქტს.

— შტრეზემანმა განაცხადა, რომ გერმანია თანახმა არის გადასცეს საფრანგეთს გარანტიის სახით თავისი რკინის გზები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა
პარასკევს, 7 სექტემბერს
ერთიან პარტიულ დღეს
დღის წესრიგი წამოაყენონ თვითონ საუბნო კომიტეტებმა და უჯრედებმა.
ტფილისის კომიტეტის მდივანი რუბენი.

საქართველოს კ. პ. ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

პერიოდულ პრესის შესახებ.

ჩვენ საოლქო და სამაზრო პრესას მრავალი დეფექტები აქვს ამის მიზეზია ჩვენი პარტიულ ორგანიზაციების მიერ საბჭოთა—პარტიულ პრესის მნიშვნელობის და როლის არასაკმარისი დაფასება. მიაქცევს რა ამაზე პარტკომების სერიოზულ ყურადღებას, ც. კ—ტი წინადადებას აძლევს მათ მიიღონ სახელმძღვანელოთ შემდეგი:

1. გაზეთების პასუხისმგებელ და ფაქტიურათ მომუშავე რედაქტორებათ დანიშნულ უნდა იქნენ პარტიულ კომიტეტებას საკმაოთ კომპეტენტური და ავტორიტეტული წევრები, სარედაქციო კოლეგიების შემადგენლობაში (სადაც ასეთები არსებობენ)—უნდა დაინიშნონ გამოცდილი პარტიული ამხანაგები.

2. გაზეთში თანამშრომლობისათვის, პარტიულ დისციპლინის წესით, უნდა მოწვეულ იქნენ ყველა ადგილობრივი პასუხისმგებელი საბჭოთა—პარტიული მუშაკნი.

3. თანამშრომლებს და კორესპონდენტებს ფაბრიკებიდან, ქარხნებიდან და სოფლებიდან უნდა მიეცეს დარიგება და ინსტრუქციები. შესაძლებლობისდაგვარათ უნდა იმართებოდეს თათბირები.

4. რედაქციას უნდა ეძლეოს ზოგადი პარტიული და პოლიტიკური დირექტივები, რომლის ფარგლებში რედაქცია, თანახმად ცკას ინსტრუქციისა ადგილობრივი გაზეთების გეგმის შესახებ, დამოუკიდებლათ ასრულებს პარტიის მიერ მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

საქართველოს კ. პ. ც.-კ-ის მდივანი კახიანი.
ს. კ. პ. ც. კ-ის სააგიტაც.-საპროპაგანდო განყოფ. გამგე კვირიკაძე.

სპარსეთი და ინგლისის იმპერიალიზმი

I

ჩვენი მკითხველები უეჭველია მიაქცევდნენ ყურადღებას იმ ამბებს, რომლებსაც უკანასკნელ ხანებში ადგილი აქვთ სპარსეთში.

უკვე ამ ერთი კვირის წინეთ თეირანიდან რადიომ მოგვიტანა ცნობა გრანდიოზულ მასიურ დემონსტრაციების შესახებ, რომლებიც მიმართული იყო დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ დემონსტრანტები გაეშურენ მეჯლისისკენ და იქ, პარლამენტის ეზოში საგანგებოთ შეკრებილ სახალხო წარმომადგენლებს გადასცეს „ხვაერის“ პეტიციის სახით, სადაც გამოთქმული იყო სასტიკი პროტესტი ინგლისის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ აღმოსავლეთში — საზოგადოთ და სპარსეთში—კერძოთ. ორატორები ამ დემონსტრაციაზე, აღნუსხავდენ რა ღრმა აღშფოთებით იმ საშინელებათ, რომლებსაც სჩადიან ინგლისელები სპარსეთში, მოუწოდებდნენ დამსწრეთ და მთელ ხალხს ბოიკოტი გამოეცხადებიათ ინგლისის საქონლებისა და ინგლისურ დაწესებულებებისათვის სპარსეთში.

ამნაირათ მდგომარეობა მოძულ დამპყრობელთა და ეროვნულ თავდაცვისათვის ამდგარ ხალხს შორის უაღრესათ გამწვავებული შეიქნა.

ასეთი ამბები ჰპოულობენ დადასტურებას სულ უკანასკნელათ (გუშინ) მიღებულ ცნობებშიც. მათ თანახმათ, ინგლისის ინტრიგა თეირანში იღებს სულ უფრო და უფრო გამომწვევ ხასიათს. შაჰი ოჯახობით სტოვებს სატახტო ქალაქს. იქვე მოწვეული იქნება სპარსეთის ანგლოფილური პოლიტიკური მოღვაწეები ცნობილ რეაქციონერების მეთაურობით.

ამ ამბებს გულგრილათ ვერ შეხვდება ვერც ერთი ხალხი აღმოსავლეთის. დიდი მნიშვნელობის არის ეს ამბები ჩვენი რესპუბლიკებისთვისაც, რომლებიც კეთილმეზობლურ დამოკიდებულებაში არიან სპარსეთთან.

დღევანდელი იმპერიალისტური სახელმწიფოების და მათ შორის განსაკუთრებით ინგლისის პოლიტიკა კოლონიალურ და ნახევრათ კოლონიალურ აღმოსავლეთის ქვეყნებში გამოიხატება არა მარტო ადგილობრივ მკვიდრთა და სიმდიდრეთა უზომო ექსპლოატაციაში. ის აღბეჭდილია ამავე დროს უკიდურესი რეაქციონური ხასიათით და ეს ბუნებრივიც არის.

თავისი ექსპლოატაციით, ეროვნული ორგანიზმიდან ყოველგვარი ეკონომიური საზრდოს გამოწურვით, სულთამხუთავი იმპერიალიზმი იწვევს ოპოზიციას და იმ ძალებს, რომლებიც დროშაზე იწერენ დამპყრობელების განდევნას ქვეყნიდან და ეროვნულ აღორძინებას. ამ ორ ძალის შორის ხდება სასტიკი ბრძოლა ვის უნდა დაეყრდნოს ამ შემთხვევაში ქვეყნის ასაკლებათ შესეული ჯალათები? ცხადია იმ ძალებს, რომლებიც ხალხურ-რევოლიუციონურ მოძრაობაში უცხოელ იმპერიალისტების წინააღმდეგ სრულიათ საფუძვლიანათ ხედავენ იმავე დროს მუქარას თავიანთი პრივილეგიებისათვის. ესენი არიან ძველი ფეოდალები და ხშირათ მთელი ტომების მფლობელები, რომლებიც წინააღმდეგი არიან ყოველი ახალი „სულისა“, ახალი მოძრაობის და იარაღით ხელში უსწორდებიან ამ ახალი მოძრაობის წარმომადგენელთ.

ამნაირათ, გარეშე იმპერიალისტური ძალა, ჩვენ შემთხვევაში, ინგლისის იმპერიალისტები, სპობენ რა აღმოსავლეთში, კერძოთ სპარსეთში, ყოველგვარ ეკონომიურ საფუძველს ერის განვითარებისა დამოუკიდებლობისას, **ხელის ჩამდგმელი არიან იმავე დროს ადგილობრივ უკიდურესი სოციალური და პოლიტიკური რეაქციის**, რომელიც თავის მხრივ გამოდის დამხმარეთ უცხოთ იმპერიალისტური ძალის.

ჩვენ ვხედავთ, რომ თვით თავიანთი „მოღვაწეობის“ ხასიათით ე. ი. როგორც მატარებელი ჯალათობის ადგილობრივ ხალხთა მიმართ, ინგლისის (ისევე როგორც სხვა ბურჟუაზიული ქვეყნების) იმპერიალისტები გაბამული არიან „ბედ იღბლით“ ყველა ადგილობრივ ფეოდალურ რეაქციონურ წრეებთან და ამაგრებენ ამ წრეების ბატონობას დანარჩენ ხალხზე.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ზემოთ ჩვენ ვთქვით, რომ ისინი უკავშირდებიან ხშირათ ისეთ გავლენიან პირებს, რომლებიც შეუზღუდველი ბატონობით სარგებლობენ მთელ მრავალ რიცხოვან ტომებზე. და აი ასეთი პირების მოსყიდვით, მათი დახმარებით იმპერიალიზმი რაზმავს ხალხის ერთ ნაწილის მის მეორე ნაწილის, ან ქვეყნის რომელიმე კუთხის წინააღმდეგ, სადაც აფრიალებულია რევოლიუციონურ-დემოკრატიული მოძრაობის დროშა.

ამნაირათ: 1) ეკონომიური დარბევა აღმოსავლეთის კოლონიალურ და ნახევრათ კოლონიალურ ქვეყნების; 2) იქ გაძლიერება ძველი ფეოდალური რეაქციის; 3) ქვეყნის და ხალხის ერთი ნაწილის აღძვრა მეორეს წინააღმდეგ და მუდმივი სისხლის ღვრა—აი რაზე აშენებს თავის გასისხლიანებულ ოქროს ტახტს ინგლისის იმპერიალიზმი.

გამოსული ამ დებულებებიდან, ჩვენ ვნახავთ შემდეგ წერილში, როგორი იყო და არის დღეს მდგომარეობა კერძოთ სპარსეთში.

აგიტაციი და პროპაგანდის საკითხები საქართველოში

VI

უღმერთოთა კავშირის შესახებ *)

ამ რამოდენიმე დღის წინათ ერთმა ამხანაგმა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ში დააყენა საკითხი უღმერთოთა კავშირის დაარსების აუცილებლობის და საჭიროების შესახებ. ამ წერილში ჩვენ გვინდა გამოვსთქვათ ჩვენი აზრი ამ საკითხის შესახებ და თან ვისარგებლოთ შემთხვევით, რომ შევეხოთ კვლავ ანტირელიგიურ პროპაგანდას: არის თუ არა საჭირო უღმერთოთა ანუ ურწმუნოთა საკუთარი კავშირი? მიზანშეწონილია თუ არა პარტიული პროპაგანდის საგრძნობი ნაწილის ამ კავშირზე გადაცემა? და ბოლოს შეუძლია თუ არა რაიმე ნაყოფი გამოიღოს ამ დაწესებულებამ? ხსენებული ამხანაგის აზრით, ასეთი კავშირი საჭიროა, კავშირი, რომელმაც მთლიანათ, დიდი ხნით და სერიოზულათ უნდა იმუშაოს ანტირელიგიურ პროპაგანდის დარგში. ერთი მთავარი მოტივი შეიძლება ჰქონდეს ასეთი კავშირის არსებობას, სახელდობრ ის, რომ ჩვენ გავატარეთ ფართე მასსებში ჯერ-ჯერობით მხოლოთ ანტირელიგიური აგიტაცია და რომ სათანადო პროპაგანდას მათში ჯერ ფრთები არ გაუშლია. პარტიულ წრეებში კი უფრო ღრმათ დგას საკითხი. ჩვენ რელიგიის შესწავლის საქმეს ვაყენებთ ჩვენს საბჭოთა-პარტიულ სკოლებში, მარქსისტულ წრეებში და სხვადასხვა, მაგრამ ეს ჩვენს პარტიულ წრეებში და მათთან ახლო მყოფ უპარტიო ამხანაგებში არის ასე მათ გარეშე კი არიან მრავალი ასი ათასები. ცხადია, რომ დამაკმაყოფილებელი არ იქნებოდა ჩვენი ანტირელიგიური პროპაგანდა, თუ ამ მასებს ყურადღებას არ მივაქცევდით და ანგარიშს არ გაუწევდით. ამ ამოცანის მიღწევას თითქოს ამართლებს ცალკე უღმერთოთა კავშირის შექმნა. მაგრამ, მიუხედავათ ასეთი დიდი ამოცანებისა ანტირელიგიური პროპაგანდის დარგში, მე საჭიროთ მაჩნია ენერგიულათ გავილაშქრო ასეთი კავშირის დაარსების წინადადების წინააღმდეგ. საქმე იმაშია, რომ ჩვენ ძლიან გვიყვარს ახალი და ახალი კავშირების და ასოციაციების შექმნა. ეს გასაკვირი არ არის სრულებით, რადგან ჩვენ ვეძებთ სულ უფრო და უფრო უკეთეს გზებს ამა თუ იმ საქმის უკეთ დასაყენებლათ. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ერთი წინადადების თანავე ახალი კავშირი უნდა შევქმნათ. ამას წინათ ჩვენ შევქმენით „ლიგა დროსი“; ვფიქრობდით ყოფა-ცხოვრების ლიგის შექმნას. ეხლა ვფიქრობთ უღმერთოთა კავშირის (იგივე ლიგის) შექმნაზე. სანამ ამ უკანასკნელ საკითხს გადავწყვეტდეთ, საჭიროა ის დეტალურათ განვიხილოთ. უღმერთოთა კავშირი! ვინ არიან უღმერთონი? ვის არა სწამს ღვთის და ეშმაკის არსებობა? უპირველესათ ყოვლისა და უმთავრესათ კომუნისტებს. ჩვენ ვიცით მრავალი განათლებული ადამიანები, გატაცებული ათეისტები ახალგაზრდობაში, რომლებიც მოხუცობის დროს კვლავ გახდენ თეისტები. ასეთები არ არიან კომუნისტები. კომუნისტები—ეს ის რევოლიუციონერები არიან, რომელნიც ანგრევენ ძველ სოციალურ შენობას და მასზე აღმოცენებულ „ზედნაშენებსაც.“ კომუნისტური პარტია ანადგურებს ეკონომიურ უკუღმართობას და მით სპობს აქაურ ღმერთებს, რასაც თან მიჰყვება ზეციური ღმერთების მოსპობაც. ამიტომ კომუნისტები არიან ნამდვილი და ბოლომდის ათეისტები. კომუნისტური პარტია—ეს არ არის მარტო ეკონომიურ და პოლიტიკურ მებრძოლთა კრებული. არა. ის ებრძვის ძველ სულიერ კულტურას და მის ნაცვლათ მას შემოაქვს ახალი. კომუნიზმის დამყარება არ ნიშნავს მარტო ეკონომიური უკუღმართობის, კლასობრივი ბრძოლის მოსპობას, არამედ მასზე აღმოცენებულ შედეგების მოსპობასაც და დღევანდელი რელიგია ხომ პირმშო შვილია ავტორიტარული საზოგადოებრივი წესწყობილებისა. მოსპობა ამ ავტორიტარული ურთიერთობის ანგრევს რელიგიის სოციალურ საფუძვლებს. კომუნისტს ესეც უნდა ესმოდეს; ეს კი უპირველესად ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ ის გატაცებული ათეისტი უნდა იყოს ისე, როგორც გატაცებული პოლიტიკური მებრძოლია ცნება კომუნიზმი უფრო მეტს ნიშნავს, ვინემ ეს ჩვეულებრივათ აქვთ წარმოდგენილი. კომუნიზმი,—ეს უკლასო, უერო და ურელიგიო საზოგადოებაა. მეორე და მესამე სახე ამ მომავალი საზოგადოებისა იქნება შედეგი, ისტორიული აუცილებლობა გაერთიანებულ მსოფლიო წარმოებისა, რომელიც ანგრევს და სპობს ნაციონალურ ზღუდეებს. ყოველივე კომუნისტი თან ათეისტიც არის. მთელი კომუნისტური პარტია კი ეს ათეისტების დიდი კავშირია. რელიგიის წინააღმდეგ პროპაგანდა მისთვის ისეთივე საკითხია, როგორც პარტიის გაძლიერება, ახალი ორგანიზაციების დაარსება და გამაგრება. ეს არის საკითხი, რომლის გამოყოფა აგიტაციის და პროპაგანდის სხვა საკითხებიდან არ შეიძლება. ამრიგათ, ჩვენ ათეისტთა ან უღმერთოთა კავშირი გვაქვს კომუნისტური პარტიის სახით, რომელიც ჯეროვან დ აყენებს პარტიული პროპაგანდის ამ ღირსშესანიშნავ დარგს. მისი ცალკე დაარსება მხოლოდ დაქსაქსავდა ამ დარგში მომუშავე ძალებს, მათი ერთად შეკუმშვის ნაცვლათ. მაგრამ საკითხი უპარტიო ფართე მასებს შორის ანტირელიგიური პროპაგანდის დაყენების შესახებ, მაინც ღიათ რჩება. უპირველესათ ყოვლისა საკითხი უნდა დავაყენოთ ასე: როგორ შეგვიძლია აღვზარდოთ ურწმუნო მოქალაქენი? აქ ჩვენ მოვალენი ვართ მივაქციოთ ყურადღება შრომის სკოლებს. ძველ სკოლებში ასწავლიდენ სამღვთო სჯულს და კანონებს. რევოლიუციამ ეს მოსპო და მის ნაცვლად დააყენა სწავლა საზოგადოებრივი ცხოვრების კანონებისა. ჩემის აზრით, ეს ცოტაა. თუ ძველი სკოლა ზრდიდა მორწმუნეთ, ჩვენ გვინდა აღვზარდოთ ურწმუნონი, რადგან რელიგიის საკითხში ჩვენ ინდიფერენტიზმით არა ვართ მოცული. რომ ამ მიზანს მივაღწიოთ, საჭიროა ჩვენს სკოლებში შევიტანოთ ახალი დისციპლინა—რელიგიის მეცნიერულათ შესწავლა, ბუნებისმეტყველების და სოციალური მეცნიერებათა შესწავლასთან დაკავშირებით. ეს იქნება საუკეთესო ანტირელიგიური პროპაგანდა ახალგაზრდათა ფრიად ფართე მასებში და მოგვცემს დიდ ნაყოფს. ამ წინადადების მიღება არის მიზანშეწონილი, რადგან ანტირელიგიური პროპაგანდა უნდა ვაწარმოვოთ დიდი ხნის განმავლობაში და მისი სხვანაირ ფორმებში ჩამოყალიბება უპარტიო ახალგაზრდათა მასებისათვის შეუძლებელია.

კ ორაგველიძე.

რადიო-ტელეგრამები

(„ზაკროსტა“-ს

საშინელი მიწის ძვრა იაპონიაში

მიწის ძვრით მიყენებული ზარალი სისწორით ჯერ არ არის გამორკვეული. მარტო ტოკიოს აღსადგენათ საჭიროა 300 წელიწადი. მიწის ძვრის დროს დაიღუპენ ინგლისისა და ამერიკის ელჩები.

საბჭოთა კავშირი დახმარებას უწევს იაპონიის დაზარალებულ მშრომელთ. იაპონიაში იგზავნება გემები სურსათ-სანოვაგით. პირველი დახმარება დაზარალებულთ აღმოუჩინა შორეულმა აღმოსავლეთმა, საიდანაც უკვე გაიგზავნა სურსათი.

ტოკიოში არეულობა ხდება.

მიწის ძვრის შედეგები

50 მილიარდ იენის ზარალი.

პეკინი. 5 სექტემბერი. მუკდენიდან მიღებულ ცნობების თანახმათ, მიწისძვრისაგან მიყენებული ზარალი 50 მილიარდ იენს უდრის.

„როსტა“-ს კორესპონდენტების ბედი გამოურკვეველია.

პეკინი 5 სექტემბერი. მიღებულია ზომები როსტას კორესპონდენტების ანტონოვისა და ვოზნესენსკის ბედის გამოსარკვევათ, რომელნიც მიწისძვრის დროს იოკაგამაში იყვენ.

დამატებითი ცნობები კატასტროფის შესახებ.

პეკინი. 5 სექტემბერი. **დამატებითი ცნობების მიხედვით, ტოკიოში დაიწვა 300,000-დე სახლი. დაიღუპა ნახევარი მილიონი მცხოვრები, დანგრეულია მთავრობის თითქმის ყველა შენობები, ცენტრალური ტელეგრაფი, ტელეფონი და მთელი რიგი ქარხნებისა რკინის გზის დანგრევის გამო სურსათ-სანოვაგე ქალაქში შეაქვთ ზღვით. პრინც რეგენტის ბრძანებით, ყველა გადარჩენილი სასახლეები გახსნილია ლტოლვილებისათვის. ამერიკის წითელი ჯვარი აქტიურ დახმარებას უწევს დაზარალებულთ.** ნაგასაკიდან მიღებულ ცნობების თანახმათ, ყველა კანდელები ტოკიოს ნავთსადგურში დაზიანებულია, რაც საშიშროებას ჰქმნის ღამით მოგზაურობისათვის.

11 ქალაქი აღიგავა მიწის პირიდან.

ხარბინი. 4 სექტემბერი. იაპონიის მთავარი საზღვაო ბაზა იოკოსუკი განადგურებულია მიწისძვრისაგან. **სრულებით დაიღუპა ქალაქები: კამოკურა, ოდოვარა, ჩიბე, ხაკიოზი, კავაგუჩი, კოფუ, გოტემბა, ხურუგა, მიხიმა, ატამა და ხიმედა.**

იაპონიის პრემიერ მინისტრი დაჭრილია

ხარბინი. 4 სექტ. **დაჭრილია იაპონიის ახალი პრემიერი, გრაფი იამანოტო, აგრეთვე პრინც რეგენტის დედა და რამოდენიმე პრინცები.**

თათბირის დროს დაიღუპენ **ხეიეუკაის პარტიის ხელმძღვანელები, მეთაური ტაკახაი და ცენტრალურ კომიტეტის 20 წევრი.**

ტოკიოს აღსადგენათ საჭირო იქნება 30 წელიწადი.

ხარბინი. 4 სექტ. იაპონელები მარტო ტოკიოში მიღებულ ზარალს ანგარიშობენ 5 მილიარდად ოქროთი და ფიქრობენ, რომ დედა ქალაქის აღსადგენათ საჭირო იქნება 30 წელიწადი.

იაპონიის სამხედრო ძლიერების დამხობა.

ხარბინი. 4 სექტ. მიუხედავათ მიღებული ზომებისა, იაპონიის ვალიუტა მაინც მეტათ ეცემა. გაზეთები წინასწარმეტყველობენ იაპონიის სამხედრო ძლიერების დამხობას და იაპონიის ჰეგემონიის ლიკვიდაციას აღმოსავლეთში.

იაპონიის გემების დაღუპვა.

ხარბინი 4 სექტ. იოკაგამის ნავთსადგურში მდგარი ყველა გემები დაიღუპენ, გარდა დიდი გემებისა. იტყობინებიან ორ სამხედრო გემის დაღუპვის შესახებ ნავთსადგურ იოკოსუკოში.

იოკაგამას მაგივრათ მინდორია.

ხარბინი. 4 სექტ. **იოკაგამა წარმოადგენს მინდორს, თითქოს იქ ქალაქი არასოდეს არ ყოფილიყოს.** დაიღუპა სახელმწიფო სტამბა, რომელიც ქაღალდის ფულს ბეჭდავდა. ოქროს მარაგი ოსაკაში გადარჩა. ატამაში დანგრეულია ტონელი, რომელიც მრავალი წლების განმავლობაში იყო ნაშენები.

იაპონიის მთავრობის დახმარება.

ხარბინი. 4 სექტემბერი. ფუკოგავის რაიონში თავი მოიყარა 3 0.000 დამშეულმა ლტოლვილმა. იაპონიაში მობილიზაციის წესით მოწვეულია სამი დივიზია, რომელიც დაზარალებულ რაიონებში გაიგზავნა. იაპონიის მთავრობამ დაზარალებულთა დასახმარებლათ გადასდო 9 მილიონი იენი, დედოფალმა კი—10 მილიონი.

იოკაგამა წყლის ქვეშ.

ვლადივოსტოკი. 5 სექტემბერი მტკიცდება ცნობები იოკაგამის და ტოკიოს ახლო მდებარე ქალაქებისა და დაბების სრული დაღუპვის შესახებ. იოკაგამა წყლის ქვეშაა. ფიქრობენ, რომ იოკაგამას მთელი მოსახლეობა დაიღუპა.

გეოგრაფიული ცვლილება.

ვლადივოსტოკი. 4 სექტემბერი. იოკაგამის პირდაპირ აღმოცენდა ახალი კუნძული, რომლის სივრცე უდრის 450 ვერსს. შეიცვალა ნაპირებისა და ზღვის ძირის ფორმა.

საფრანგეთის ვიცე-კონსულის დაღუპვა.

ვლადივოსტოკი. 4 სექტემბერი. გალილეის ამერიკულმა ტრანსპორტმა დაიჭირა გვამები, მათ რიცხვში ვიცე-კონსულ ვალენტინის გვამიც.

ინგლისისა და ამერიკის ელჩების დაღუპვა.

ლონდონი. 6 სექტემბერი. **იოკაგამაში დაიღუპნენ ინგლისისა და ამერიკის ელჩები.**

დაწვრილებითი ცნობები კატასტროფის შესახებ.

ლონდონი. 6 სექტ. ტოკიოში ხანძარი ჩააქრეს. ქალაქი აღდგენილია. შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიშით, ტოკიოში დაღუპულა 110,000 ადამიანი, იოკაგამაში 100,000.

მიწის ძვრის პირველ დღეს ქვესკნელის ხეთქება 210 ჯერ გაისმა, მეორე დღეს—37 ჯერ. მიწის ძვრა საერთოდ 20 საათს გაგრძელდა. მიწის ძვრის საზომი პრიბორები გადაზნექილია 12 სანტიმეტრზე. მიწის ძვრა შეეხო მთელი იაპონიის შუაგულსა და ჩრდილოეთის ნაწილს.

იაპონიის გზათა სამინისტროს ცნობებით, იოკაგამაში მხოლოდ ორი სახლი გადარჩა. იუწყებიან, რომ სეიუკაის პარტიის ბელადი ტაკახაში გადარჩენილა.

მდგომარეობა ტოკიოში უმჯობესდება.

ლონდონი. 6 სექტემბერი. **იაპონიის ივეკის რადიოსადგურის ცნობებით, მდგომარეობა ტოკიოში უმჯობესდება.** წყალსადენი აღდგენილია ქალაქის ყველა უბნებში. ზოგიერთ უბნებში აღდგენილია განათება. ახლო-მახლო ადგილებიდან მოდის სურსათი. იოკაგამაში ჩავიდა 6 სამხედრო გემი ბრინჯისა, სურსათ-სანოვაგისა, ტანსაცმლისა და მედიკამენტების ტვირთით.

ჩინეთის წყლებში მდგარ იაპონიის ფლოტის სარდალმა ბრძანება მიიღო შეიყიდოს სურსათი და მედიკამენტები და საჩქაროთ ჩააბაროს იგი იაპონიის მთავრობას.

ასეთი საშინელება არ ახსოვს ისტორიას.

ლონდონი. 6 სექტემბერი. თუმცა პირდაპირი დამოკიდებულება ტოკიოსთან ჯერ კიდევ არ არის აღდგენილი, მაგრამ სხვადასხვა ადგილებიდან მიღებული ცნობებით ნათელს ჰფენენ იაპონიაში მომხდარ საშინელებას. მიღებული ცნობები საკმარისია იმისათვის, რომ ვსთქვათ, რომ ასეთი საშინელება არ ახსოვს ისტორიას. ოფიციალური ცნობების მიხედვით, რომელიც მიღებულია იაპონიის საელჩოში ლონდონში, სჩანს, რომ პირველ ხანებში ნაწყვეტებათ მიღებული ცნობები სრულებით არ არის გადამეტებული. ტოკიოს სამი მეოთხედი განადგურებულია იოკაგამა თითქმის სულ დაიღუპა. ტოკიოში დანგრეულია მთავრობის თითქმის ყველა შენობები, სავაჭრო დაწესებულებები და 300.000 კერძო სახლები. განსაკუთრებით დაზარალდენ მდიდარი უბნები, რისთვისაც ყველაზე უფრო მეტი მსხვერპლი არის სახელმწიფო მოსამსახურეებში, სავაჭრო სამრეწველო ფინანსიურ და მეცნიერთა წრეებში.

ეს დანაკლისი ერისათვის აურაცხელია. სკოლების უმრავლესობა დანგრეულია. ტოკიოდან მიღებულია ოფიციალური ბრიტანეთის, დეპეშა სადაც ნათქვამია, რომ ტოკიოში თავი მოიყარა აუარებელმა უცხოელთა ლტოლვილებმა. დამტკიცებულია, რომ ბრიტანეთის საელჩოები ტოკიოში და იოკაგამაში დამწვარია. ბრიტანეთის და ამერიკის ელჩები იოკაგამაში დაიღუპენ. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ამერიკისა, ჩინეთისა, საფრანგეთისა და იტალიის საელჩოები განადგურებულია. იოკაგამის ევროპიულ უბნის მთელი მოსახლეობა, როგორც სჩანს, დაიღუპა, მათ რიცხვში ყველა დიპლომატიური წარმომადგენლები. ოსაკიდან მიღებულ რეიტერის ცნობებით, კატასტროფის ზარალი უდრის 1 მილიარდ გირ. სტერლინგს.

დაიწვა 10,000 კაცი.

პეკინი. 4 სექტემბერი. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ტოკიოში ცოცხლად დაიწვა 10,000 კაცი. რამოდენიმე ათეული ათასი კაცი დაიღუპა დანგრეულ სახლებში. უსახლკაროთ დარჩენილია რიცხვი 2 მილიონს აღემატება. დანგრეულია იტალიის და საფრანგეთის საელჩოების შენობები. რკინის გზის ლიანდაგი დანგრეულია ტოკიოდან 100 მილის მანძილზე. სატახტო ქალაქი დროებით გადაექცათ ოსაკაში.

საბჭოთა კავშირი ეხმარება დაზარალებულთ

საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება.

მოსკოვი. 5 სექტემბერი **ს. ს. რ. კავშირის სახ. კომ. საბჭომ დაადგინა გაუწიოს რეალური ნივთიერი დახმარება იაპონიის მშრომელ მოსახლეობას: 1) გაგზავნოს საკავშირო გემები, რომლებიც ამჟამად წყნარ ოკეანეში იმყოფებიან, აუცილებელი საჭირო სურსათ-სანოვაგით იაპონიის სანაპიროებისკენ დახმარების აღმოსაჩენად 2) დაევალოს გარეშე საქმეთა კომისარს საჩქაროთ მოიწვიოს თათბირი შესაძლებელი დახმარების გამოსარკვევად. თათბირის დადგენილება დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად ს. ს. რ. კავშირის ცაკს.**

საუბარი საბჭოთა მთავრობის პასუხისმგებელ ხელმძღვანელებთან.

მოსკოვი. 5 სექტემბერი. „როსტა“-ს თანამშრომელთან საუბარში საბჭოთა მთავრობის პასუხისმგებელ ხელმძღვანელებმა შემდეგი აზრი გამოსთქვეს:

ამხ. კალინინი.

შორეულ აღმოსავლეთის რევკომის სახელზე გაგზავნილ დეპეშის გარდა სურსათით დატვირთულ გემების გაგზავნის შესახებ, სოც. საბ. რესპ. კავშირი გაუწევს კიდევ სხვა რეალურ დახმარებას იაპონიის მოსახლეობას.

ამხ. რიკოვი.

შედარება რა უბედურების მნიშვნელობა აღმოსავლეთის ხალხისათვის რურის ამბებთან, აღნიშნა, რომ დაზარალებულთა უმეტეს შემთხვევაში ღარიბი ხალხი აღმოჩნდა. საბჭოთა რუსეთის მთავრობა ახლო მომავალში მართავს შემოწირულებას, რისთვისაც იმართება სპეციალური თათბირები უბედურების და დახმარების რაოდენობის გამოსარკვევად.

ამხ. ჩიჩერინი.

ს. ს. რ. კავშირის ხალხები დარწმუნებული არიან იაპონიის ხალხთან მომავალ მეგობრულ ურთი-

„ძველი ანგარიშები“

სრულიად საქართველოს მენშევიკთა ყრილობაზე მოულოდნელათ წამოიჭრა საკითხი სოც. ფედერალისტთა პარტიის წარსულის შესახებ. თემა საინტერესოა და ღირს მასზე შეჩერება.

ვინც საქართველოს ცხოვრებას გადაავლებს თვალს წარსული საუკუნის მეოთხმოცდაათე წლებიდან ჩვენ დრომდე, დარწმუნდება, რომ საქართველოში თებერვლის რევოლიუციამდე ორი ბანაკი არსებობდა: ბანაკი რევოლიუციონური, სოციალისტური და ბანაკი კონტრრევოლიუციონური, ბურჟუაზიულ-ფეოდალური. რომელ ბანაკში მოღვაწეობდენ ქართველი ფედერალისტები და რომელ წრეებს ემყარებოდენ ისინი? ამ კითხვაზე მხოლოდ ერთადერთი პასუხი შეიძლება და როგორც არა სასურველი არ უნდა იყოს ძველი ჭრილობების, ტკივილების და ანგარიშების მოგონება, უნდა გულახდილათ ვსთქვათ: ფედერალისტების მოქმედება და მუშაობა წარსულში რევოლიუციის საწინააღმდეგო იყო არსებითად და როგორც სამართლიანად აღნიშნა თავის სიტყვაში ამხ. ფილიპე მახარაძემ მენშევიკთა ყრილობაზე, ფედერალისტებს ბევრი დანაშაული მიუძღვით როგორც მენშევიკების, ისე მით უმეტეს ბოლშევიკების წინაშე, ეს ისტორიული ფაქტია და მისი უარყოფა და სამართლიანი შენიშვნის გამო გაწიწმატება და გულნაწყენობა სრულებით ზედმეტია.

თუ მემარცხენე ფედერალისტები წინააღმდეგის დამტკიცებას მოინდომებენ, ეს ნიშნავს, რომ მათ ჯერ კიდევ კავშირი ვერ გაუწყვეტიათ თავის პარტიის ანტირევოლიუციონურ წარსულთან, გულწრფელად და უყოყმანოდ ვერ დამდგომიან ახალ გზას რევოლიუციონურ-პროლეტარულ დიქტატურის ნიადაგზე.

გაზეთ „ტრიბუნა“-ს 562 ნომერში ს. ა.-ს. წერილი სათაურით „ძველი ანგარიშები“ სამწუხაროდ თუ ეს მემარცხენე ფედერალისტთა ოფიციალური წრეების საერთო აზრს გამოხატავს, მაჩვენებელია იმის, რომ ამ პარტიას დღემდე ვერ შეუგნია თავისი წარსული შეცდომები და თავის ბრძოლის მოგონებით მენშევიკების წინააღმდეგ სცდილობენ მკითხველ საზოგადოებას დაუმალონ ისტორიული სინამდვილე. შეიძლება და მართლაც მეტად ძნელი საქმეა წარსულზე ხელის აღება, შეცდომების აღიარება და ძველი გზის დაგმობა, მაგრამ თუ მენშევიკთა ყრილობამ შეიძლო ეს, ფედერალისტებსაც უნდა ჰქონდეთ გაბედულება დაგმონ თავიანთი წარსული სოციალური რევოლიუციის ინტერესების თვალსაზრისით, თუ ისინი გულწრფელად დგანან პროლეტარიატის დიქტატურის საფუძველზე. ს. ა. წერილიდან ეს არ სჩანს და ჩვენც ამიტომ იძულებული ვართ მოვიგონოთ ეს „ძველი ანგარიშები“ და ვკითხოთ „ტრიბუნის“ თანამშრომლებს, სად და როდის სცნობდენ ისინი პროლეტარული დიქტატურის აუცილებლობას და საბჭოთა წესწყობილებას? დაგვისახელონ ერთი წერილი, ერთი კრება მაინც, 1921 წ. 25 თებერვლამდე, სადაც ისინი მოითხოვდენ პროლეტარიატის დიქტატურას? უმთავრესი ხომ სწორედ ეს არის საბჭოთა სისტემის პლატფორმაზე მდგომ პარტიებისთვის. ამის ცდა უნაყოფო იქნებოდა.

ს. ა. სწერს: „ჩვენ სისტემატიურად ვაღნიშნავდით მენშევიკების შეცდომებს, მათ მიუღებელ პოლიტიკას“. მართალია, ისინი ხშირად და არა ყოველთვის მიუღებლად სცნობდენ მენშევიკების პოლიტიკას, მაგრამ ასეთ შემთხვევებში ისინი გამოდიოდნენ არა ინტერნაციონალისტურ-რევოლიუციონურ, არამედ ნაციონალისტურ-რეფორმისტულ თვალსაზრისიდან. ფედერალისტთა საუკეთესო და უნიჭიერესი ბელადი არჩილ ჯორჯაძეც ხომ ერთ დროს ეროვნული მოსაზრებით ურჩევდა ქართველ მუშებს თავისი კლასობრივი ინტერესების დავიწყებას და ქართველი ბურჟუაზიის გაძლიერებისთვის ხელის შეწყობას. კლასობრივი ბრძოლის პრინციპი, რომლის საუკეთესო გამტარებელი მხოლოდ კომუნისტური პარტია იყო თავიდანვე, ფედერალისტებს ყოველთვის გვერდზე ჰქონდათ მინახული და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ახსენებდენ მას თავისი „რევოლიუციონერობის“ დასამტკიცებლად. ამიტომაც იყო, რომ ისინი საქართველოს მშრომელმა ხალხმა არ იწამა და მხოლოდ თავადაზნაურობა, ბურჟუაზია და დიპლომიანი თუ უდიპლომო ინტელიგენცია აფარებდა თავს ამ პარტიას.

არც გლეხობა და არც ქალაქის მუშა ხალხი არსად მათ მხარს არ უჭერდა მოვიგონოთ თუ გინდ სახელმწიფო სათათბირო, სადაც ისინი ხმებს ღებულობდენ მხოლოდ მემამულეთა კურიიდან და ქართველი ბურჟუაზიიდან. გლეხობა და პროლეტარიატი თავის რევოლიუციონურ ბრძოლაში მჭიდროთ დაკავშირებული რუსეთის პროლეტარიატთან, ყოველთვის განზე იდგა ფედერალისტებისგან.

ერთეულები საერთო მდგომარეობას ვერ სცვლიან, საერთოდ და მთლიანად საქართველოს მშრომელი ხალხი არ გაყვა მათ გზას, მათ ნაციონალისტურ-შოვინისტურ ფრონტს ბრძოლა გამოუცხადა და განა როგორ შეეძლო საქართველოს ღარიბ გლეხობას და ქალაქის მუშა-ხალხს იმ პარტიას შეთვისებოდა, რომელსაც თავს აფარებდენ ქართველი „ზუბრები“ და მხოლოდ ავტოკეფალიის მოტრფიალე სამღვდელოება? მთელი „ეროვნული ლაშქარი“, რომელიც შესდგებოდა მემამულეების, ახლად აღორძინებულ ბურჟუაზიისა და სამღვდელოებისაგან, ხომ ამ პარტიის დროშის ქვეშ აწარმოებდა ბრძოლას 1905 წლის რევოლიუციის დროს; ხეობელი, აკობია და სხვა შავრაზმელები განა, ამ პარტიას ამოფარებულნი არ სცდილობდენ საქართველოს მშრომელი ხალხის 1905 წლის გმირულ რევოლიუციონურ ბრძოლის ტალახში გასვრას და სასხლის სამართლის დამნაშავეთა მოღვაწეობით მის ახსნას? მოიგონეთ „ნიშადური“, ტფილისის და განსაკუთრებით ქუთათური ფედერალისტური გაზეთების ინსინუაციები და შავრაზმელი ამოსვლები? მოიგონეთ ამ პარტიის მიერ წარმოებული ბრძოლა თავის პოზიციების დასაცავად ბანკებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, შავი ქვის მრეწველთა საბჭოში და სხვა, სადაც ფედერალისტები ყოველი ზომებით სცდილობდენ, რომ ქართველ მუშისა და გლეხისთვის მაგრათ ჩაეკეტა ამ დაწესებულებათა კარები.

მოიგონეთ მათი პოზიცია ერობის საკითხში; მეფის მოადგილის მიერ გამართულ თათბირზე ფედერალისტთა მეორე ბელადის კიტა აბაშიძის მონაწილეობა და გამოსვლები ამ თათბირზე და თქვენთვის ნათელი იქნება, თუ როგორია ამ პარტიის წარსული და მისი დანაშაული რევოლიუციის წინაშე. დიახ, მართალია, ისინი აწარმოებდენ ბრძოლას მენშევიკების წინააღმდეგ, მაგრამ ეს ბრძოლა რევოლიუციონურ შინაარსს მოკლებული იყო და მიზნათ ისახავდა, რომ ქართველი მუშა ხალხი ასცდენოდა კლასობრივი ბრძოლის ნიადაგს. ფედერალისტების ბრძოლა, რომელიც მიმართული იყო მენშევიკების წინააღმდეგ, კიდევ უფრო მეტად მიმართული იყო ბოლშევიკების წინააღმდეგ. თუ ისინი ხან გამოშვებით მაინც ნახულობდენ საერთო ენას მენშევიკებთან, ბოლშევიკებთან საერთო ენის გამონახვის ცდაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ბოლშევიკები უკიდურესი ფანატიკოსები და მეოცნებენი იყვენ მათის აზრით და მათ წინააღმდეგ ისინი დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდენ. არც ბოლშევიკები სწუხდენ, რასაკვირველია, ამის შესახებ და როდესაც საქართველოს მენშევიკურმა პარტიამ მთლიანად და სავსებით ჩაიყურყუმალა ნაციონალურ-შოვინისტურ წუმპეში და სხვა და სხვა ჯურის ნაციონალისტებთან შეხმატკბილებულმა დაიწყო საქართველოს მართვა გამგეობა, ბოლშევიკებს ამკობდენ ისევ იმ „მოღალატეთა“ სახელწოდებით, რომლითაც ნაციონალისტები იხსენიებდენ წინეთ სოციალ-დემოკრატებს და დასელებს. საბჭოთა რუსეთისაგან გამოყოფის და საქართველოს, ევროპის და ოსმალეთის იმპერიალისტების სათარეშოდ გახდომაში ფედერალისტებს არა ნაკლები, თუ მეტი არა, დანაშაული მიუძღვით, ვიდრე მენშევიკებს. თუ მენშევიკური პარტიის მუშური წრეები ყოყმანში იყვენ, ფედერალისტები გაბედულათ და სიხარულით ეგებებოდენ რუსეთის მშრომელი ხალხისაგან გათიშვას და ხშირად კვერს უკრავდენ ვეშაპელის და მის ძმათა შავრაზმულ გამოსვლებს.

შეიძლება უმნიშვნელო ჯგუფი არსებობდა ფედერალისტთა პარტიაში, რომელიც პარტიის საერთო ხაზს არ ეთანხმებოდა ადრიდანვე და სცნობდა პროლეტარიატის დიქტატურას და ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართ? არ ვიცი გულში ვის რა ჰქონდა და თავში რა უტრიალებდა, მაგრამ ასეთი ჯგუფის არსებობაზე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წრეებში არა ისმოდა რა. მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებიდან გამოჩნდა ერთი ჯგუფი ფედერალისტების, რომლებიც სხვადასხვა მოსაზრებით საჭიროთ სცნობდენ საბჭოთა ხელისუფლების ცნობას და თანამშრომლობას, მაგრამ საკითხი ხომ ამის შესახებ არ არის, არამედ საქართველოს ფედერალისტთა „25 წლის“ წარსულის შესახებ.

ამ წარსულის ზერელე გადათვალიერებაც კი ნათელ ჰყოფს და უტყუარად ადასტურებს იმ აზრს, რომ საქართველოს ფედერალისტთა პარტიას ბევრი დანაშაული აქვს წარსულში რევოლიუციის წინაშე და თუ 12 ათასი მენშევიკური პარტიის წევრი ინანიებს თავის წარსულ შეცდომებს, დროა მათაც მოინანიონ და დაგმონ თავისი წარსული და არა ბრწყინვალე შარავანდედით შემოსონ იგი. პასუხისმგებლობა რევოლიუციის წინაშე თხოულობს ამას. და ვინც თავის წარსულს სხვადასხვა საშუალებებით და მიკიბულ-მოკიბული ახსნა-განმარტებით დამალვას მოინდომებს, ის არ არის გულწრფელი და საიმედო მეგობარი რევოლიუციისა.

ი. ზ.

---

*) სადისკუსიო. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობის დამყარებაში. რამდენადაც მხურვალე იქნება ჩვენი მასების დახმარება, უჩვეულო კატასტროფისაგან დაზარალებულთათვის, მით უფრო ადრე მოხდება იაპონიასთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება.

საუწყებათაშორისო თათბირი დახმარების აღმოსაჩენად.

მოსკოვი. 5 სექტ. გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატმა მოაწყო საუწყებათაშორისო თათბირი მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად სახ. კომისარიატების, ცენტროკავშირის სრ. რუს. პროფკავშირთა საბჭოს და შინაურ ვაჭრობის კომისარიატის მონაწილეობით.

ნიჟეგოროდის ბაზრობის სამაზრო კომიტეტის მოწოდება.

ნიჟნი. 5 სექტ. სამაზრო კომიტეტმა დაადგინა სამძიმარი შეუთვალოს იაპონიის ხალხს და მიმართონ ბაზრის ვაჭრებს მოწოდებით გაიღონ შეწირულება მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად

გემების გაგზავნა სურსათით.

მოსკოვი. 6 სექტ. საკავშირო საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ კალინინმა შორეულ აღმოსავლეთის რევკომს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა: **დაუყოვნებლივ გაეცით განკარგულება, რათა გაიგზავნოს სურსათით დატვირთული გემები იაპონიის მოსახლეობის დასახმარებლად.**

ტრაური გამოფენაზე.

მოსკოვი. 6 სექტემბერი. გამოფენის მთავარმა კომიტეტმა იაპონიის პროლეტარიატს გაუგზავნა სამგლოვიარო დეპეშა. **გლოვის ნიშნად გამოფენაზე ბაირაღები ჩამოუშვეს და ერთის დღით შეაჩერეს ყველა გასართობები და კონცერტები.** საგანგებო ჯგუფმა გამოფენის სტუმართა შორის შემოწირულების მოგროვება დაიწყო მიწის ძვრისაგან დაზარალებულ იაპონიის მშრომელთა სასარგებლოდ.

ერთი დღის ხელფასი დახმარების ფონდისათვის.

მოსკოვი. 6 სექტ. შინაგან ვაჭრობის კომისარიატის კომუჯრედისა და ადგილობრივ კომიტეტის თაოსნობით გაიმართა საგანგებო კრება კომისარიატის თანამშრომლებისა. კრებამ დაადგინა თანაგრძნობა გამოუცხადოს იაპონიის პროლეტარიატს და თითო დღის ხელფასი გადასდოს დახმარების სპეციალური ფონდისათვის.

შორეულ აღმოსავლეთის დახმარება.

ჩიტა. 5 სექტემბერი. შორეულ აღმოსავლეთის რევკომმა შეადგინა იაპონიის მშრომელთა დამხმარე კომიტეტი, შორეულ აღმოსავლეთის რევკომის, პროფორგანიზაციების და წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენელთა შემადგენლობით. ამ დღეებში ვლადივოსტოკიდან გავა იაპონიაში ორი გემი შორეულ აღმოსავლეთის მშრომელთა შემოწირულებებით, მთელ შორეულ აღმოსავლეთში დაიწყო იაპონიის მშრომელთათვის დახმარების აღმოჩენის კამპანია.

კარახანის დეპეშა.

პეკინი. 5 სექტემბერი. კარახანმა თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნა გოტას და კივაკკამას.

ს. ს. რ. კ. სახელმწიფო ბანკის გამგეობის ბრძანება.

მოსკოვი. 5 სექტემბერი. სახელმწიფო ბანკის გამგეობამ წინადადება მისცა ყველა თავის დაწესებულებებს დაუყოვნებლივ მოაწყონ შემოწირულებათა მოგროვება იაპონიის მშრომელი მცხოვრებლების სასარგებლოდ.

პროვინციებიდან მიღებული შემოწირულებანი უსასყიდლოთ გადაიგზავნება გამგეობის საშუალებით ვლადივოსტოკში სახელმწიფო ბანკის კანტორაში იაპონიაში გადასაგზავნად. პირველი 10 იენი გადაიგზავნა 5 სექტემბერს.

უცხოეთის დახმარება

კულიჯის მოწოდება დახმარებისაკენ

ნიუ-იორკი 5 სექტემბერი. შეერთებული შტატების პრეზიდენტმა კულიჯიმ მიმართა შეერთებული შტატების მცხოვრებლებს მოწოდებით დახმარება გაუწიონ იაპონიის მიწის ძვრისაგან დაზარალებულებს.

შეერთებული შტატების სააზიო ესკადრამ მიიღო ბრძანება გაემგზავროს იაპონიაში დახმარების აღმოსაჩენად.

ამერიკის წითელი ჯვრის დახმარება.

ნიუ-იორკი. 5 სექტემბერი. ამერიკის წითელმა ჯვარმა გაიღო იაპონიის დასახმარებლად 100,000 დოლარი.

არეულობა იაპონიაში

აჯანყების ცდა.

პეკინი. 5 სექტ. იაპონიის ტელეგრაფის სააგენტო იტყობინება, რომ კორეის რევოლიუციონერები ტოკიოში, იოკოგამაში და კაჩიოჯში ცდილობენ გამოიყენონ მღელვარება, რათა გამოიწვიონ ნაციონალური რევოლიუცია.

შეტაკება იაპონიის და კორეის ჯარებს შორის.

პეკინი 5 სექტემბერი, ტოკიოში ბრძოლა სწარმოებს კორეის და იაპონიის ჯარებს შორის. კორეიელებს განკარგულებაში არის მრავალი ასაფეთქებელი ნივთიერებანი. კორეიელებმა შესძლეს ნაწილობრივ სანაპირო ადგილების დაკავება.

ჩვენი ქვირფასი სტუმრები

გუშინწინ ტფილისში ჩამოვიდნენ: კომინტერნის აღმასკომის წევრი ამხ. ბუხარინი, რ. ს. ფ. რესპუბლიკის პროკურორი ამხ. კრილენკო და რ. ს. ფ. რეს. მიწად მოქმედების კომისარი ამხ. სმირნოვი.

საუბარი

საბჭოთა რუსეთის მიწათ-მოქმედების სახ. კომისარ ამხ. სმირნოვთან.

ამხ. სმირნოვი დიდი ხანი არ არის რაც გუთანს, მიწის მუშაობას მოშორდა.

ეს აშკარად ეტყობა მას მძლავრად ხელის ჩამორთმევაზე, რომლის დროსაც გრძნობ ნამუშევარ ხელებს

„სოფლის კომისარის" პასუხსაგებ თანამდებობაზე ამხ. სმირნოვი მხოლოდ ა/წ თებერვლიდანაა დანიშნული, მაგრამ მთელი რიგი პრაქტიკულ ღონისძიებათა სასოფლო რეფორმების დარგში, მიწათ-მოქმედების კომისარიატის ძირითადი პოლიტიკის ცვლილება საკმარისა იმისათვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ „პირველი მიწის მუშის" გამოცდილების შესახებ



ამხ. ბუხარინი.

შეთანხმებული მუშაობის საჭიროება.

მთელი რიგი პრაქტიკულ ღონისძიებათა მიწაზე, მჭიდროთ არის გადახლართული და ზოგჯერ კი ერთმანეთთან დაკავშირებული საკავშირო რესპუბლიკებში. სახალხო კომისარს ამხ. სმირნოვს ეკუთვნის ინიციატივა საკავშირო მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატებისადმი მიმართვისა პერიოდული თათბირების გამართვის შესახებ.

— სათათბირო ორგანოს ფასი აქვს პოლიტიკის ერთიანობის თვალსაზრისით; რამდენადაც მუშაობა სწარმოებს დამოუკიდებლად საერთო საკავშირო დეკრეტების საფუძველზე

ამხ. სმირნოვი აშუქებს ამას მთელი რიგი მაგალითებით მელიორაციის, გადასახლების, საქონლის მოშენების და სხვა დარგში. .

ეს მაგალითები გვიმტკიცებს იმას, რამდენათ ძვირფასია შეთანხმებული მუშაობის შედეგები კავშირისათვის.

კერძოთ საქართველოსათვის, მაგ. კულტურის გაუმჯობესების, ფინანსიურ დახმარების და სხვ დარგში.

ზღვის სანაპიროებზე დაზარალებულ ჩაის პლანტაციების აღდგენა შეუძლებელი იყო მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ძალებით. საბჭოთა რუსეთი დახმარებას უწევს საქართველოს საშვალებათა მიცემით—ჯერ ჯერობით მიმდინარე კრედიტებიდან, ხოლო მომავალ წელს სახარჯთაღრიცხო წესით

ცხენების ჯიშის მოსაშენებლად საქართველოში გადმოგზავნილია მთელი საჯინიბო მოსაშენებელ ულაყი ცხენებისა საბჭოთა რუსეთიდან.

მუღანის სამელიორაციო მუშაობა გაფართოებული იქნება საკრედიტო დახმარებით, მინდვრების მოსარწყავად ბამბის ნათესების გასაფართოებლად და სხვა.

ზურგი შექციოთ „უცხოეთს".

ფართოდ გავრცელებული შეხედულება, რომლის თანახმად ჩვენი ცხენების და საქონლის მოშენება თითქოს დამყარებული იყო უცხოეთის ჯიშებზე, დიდი შეცდომაა. ეხლა ეს კრედიტი დახურულია, მიწათ მოქმედების სახ კომისარიატი აწარმოებს მუშაობას ამ დარგში საჯინიბოების მოსაწყობად საქონლის მოსაშენებელ რაიონებში, საუკეთესო ჯიშებისათვის პრემიების შემოს ღებად (მცირდება სასოფლო-სამეურნეო გადასახადი) და სხვა.

სინამდვილესთან უფრო ახლოს

ჯერ ჩვენ ვოცნებობდით ტრაქტორებზე, რომლის საშუალებით გლეხი დახნავდა მიწებს ჩვენ არ გვქონდა კარგი გუთანი დღევანდელი დღის ამოცანაა—გლეხისათვის გაუმჯობესებული გუთნის მიწოდება და ამ ნიადაგზე მისი მეურნეობის განმტკიცება.

ამჟამად ჩეხო სლოვაკია კრედიტს გვიხსნის იარაღების სახით; მოხალისე კომივოიაჟორები — უმთავრესად ამერიკელი სენატორები, წინადადებას გვაძლევენ მოგვაწოდონ სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

ამ საკითხში კვლავ დგება წინ საჭიროება მოკავშირე მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატების მუშაობის და, აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო კრედიტების ორგანიზაციის მჭიდრო გაერთიანებისა, რომელშიაც მოქცეული იქნება მთელი კავშირი.

კულტურული მეურნეობანი.

რევოლიუციის პირველ პერიოდში არსებული კულტურულ მეურნეობათა დაშლის ტენდენცია დიდი ხანია მოისპო. სამეურნეო დამოკიდებულებათა საფუძვლიან შეცვლასთან ერთად მაღალ კულტურის მეურნეობები დაცულია, თუ ისინი ძველი მიწათმფლობელობის ხასიათს არ ატარებენ.

გადასახლება.

გადასახლება დროებით შეჩერებულია. ამის მიზეზია გადასახლების საკითხის სიმწვავის შესუსტება. მეორეს მხრით გადასახლება იმ ფორმებით, როგორც იგი სწარმოებდა მეფის რეჟიმის დროს, არ აკმაყოფილებდა გლეხის მინიმალურ მოთხოვნილებებს. ამჟამად გადასახლება მოწესრიგებული იქნება მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის მიერ იმ მხრით, რომ მოსახლე დაკმაყოფილებული იქნება წინაწარ მარაგით, კრედიტით, იარაღებით და სხვა. საქმის ასეთ დაყენების დროს გადასახლებისთვის საუკეთესო რაიონებათ მიჩნეული უნდა იქნეს: ვოლგის აღმოსავლეთით მდებარე ადგილები და ურალი, დონეცის ოლქის ზოგიერთი ადგილები და სხვა

და კვლავ მუშაობის შეთანხმება.

საკავშირო კანონმდებლობა ჩვენ გვაძლევს მხოლოთ ზოგად გეზს მიწათ-მოქმედების პოლიტიკისთვის. ხელმძღვანელობა კი ცალკე რესპუბლიკებში—დამოუკიდებელია.

ამიტომ მთელი რიგ ღონისძიებათა შეთანხმება ამ დარგში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ასეთი შეთანხმება საშვალებას მოგვცემს შევასრულოთ ერთ-ერთი უდიდესი ამოცანა, სახელდობრ: გლეხობის ჩაბმა საჯიშო მეურნეობების, საოჯახო ამხანაგობების და სხვა ორგანიზაციების ცოცხალ მუშაობაში.



ამხ. კრილენკო.

გამოცდილების შედეგებას შეთვისება, მისი გაცვლა-გამოცვლა,—აი რას იძლევა საკავშირო რესპუბლიკების მიწათ მოქმედების სახკომების მაქსიმალური კონტაქტი.

ვ. ვ.

იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი

დამოკიდებულება იტალია-საბერძნეთს შორის არ არის გამორკვეული. იტალია ჯარებს გზავნის ალბანეთის საზღვარზე. ერთა ლიგა შეუდგა კონფლიქტის განხილვას, მაგრამ იტალიის დელეგატის მოთხოვნით განხილვა გადაიდვა. პრესის აზრით, იტალიის პოზიციას შეუძლია გამოიწვიოს ლიგის კრიზისი. თუ იტალიამ თავისი პოზიცია არ დასთმო, ფიქრობენ, რომ ლიგა იტალიას ეკონომიურ ბოიკოტს გამოუცხადებს.

იტალიაში

იტალია თავს იმართლებს.

მოსკოვი. 6 სექტემბერი. იტალიის წარმომადგენლის (მოსკოვში) პაჩეტინის მემორანდუმში, რომელიც გადაეცა ჩიჩერინს, ნათქვამია, რომ საბერძნეთის მიერ იტალიის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემდეგ, იტალიის მთავრობა იძულებული იყო მოეწოდებია საბერძნეთის მთავრობა მისი პასუხისმგებლობის შეგნებისაკენ. განკარგულება კუნძულ კორფუზე დესანტის გადასხმის შესახებ არ ნიშნავს საომარი მოქმედების დაწყებას, მაგრამ ეს ნიშნავს იტალიის მთავრობის გადაწყვეტილებას დაიცვას თავისი პრესტიჟი და მიიღოს თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

მუსოლინი აშკარავებს თავის მიზნებს.

რომი. 5 სექტემბერი. „დეილი მეილის" კორესპონდენტთან საუბრის დროს მუსოლინიმ განაცხადა, რომ იტალიამ კორფუ დაიკავა იმიტომ, რომ იცოდა საბერძნეთი სხვა გვარად არ იფიქრებდა „ვალის" გადახდას. **ეს გირაო (კორფუ) იტალიის ხელში იქნება მანამდე, სანამ ბერძნები არ დააკმაყოფილებენ სავსებით ყველა მოთხოვნილებებს.** მუსოლინი არ ფიქრობს საბერძნეთის სხვა ტერიტორიების დაკავებას და ახალი რეპრესიების გამოყენებას იმ პირობით, თუ ბერძნები არ შეებრძოლებიან იტალიელებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დაუყონებლივ დაიწყებს საომარ მოქმედებას.

მუსოლინი გადაჭრით უარჰყოფს ერთა ლიგის ჩარევის უფლებას იმ საქმეში, რომელიც შეეხება იტალიის ღირსებას. ერთა ლიგის ჩარევის შემთხვევაში, იტალია გამოვა მისი შემადგენლობიდან. **„დროა გაიგონ ბალკანეთის ერებმა, რომ იტალია ძლიერი სახელმწიფოა"—განაცხადა მუსოლინიმ.** მინისტრთა საბჭოში მუსოლინიმ განიმეორა მუქარა იტალიის ერთა ლიგიდან გამოსვლის შესახებ, თუ უკანასკნელი ჩაერევა კონფლიქტში.

იტალიის დესანტი ალბანეთის ნაპირებზე.

ლონდონი. 5 სექტემბერი. ლონდონის დიპლომატიური წრეები აღელვებული არიან ათენიდან მიღებული ცნობებით იმის შესახებ, რომ იტალიელებმა გადმოსხეს დესანტი სანტი-კვარაიატას ალბანეთის სანაპიროებზე, კორფუდან რამოდენიმე მილის მანძილზე. ეს ტერიტორია ალბანეთს ეკუთვნის, უდავოთ. ამას სამხრეთ-სლავია განიხილავს, როგორც მტრულ აქტს მის მიმართ.

მუსოლინის განცხადება.

რომი. 6 სექტემბერი. დღეს მუსოლინი გამოვიდა ოფიციალური განცხადებით, რომელშიაც მან განაცხადა, რომ იტალია არ სცნობს ერთა ლიგის კომპეტენციას; თუ ეს უკანასკნელი დაჟინებით მოითხოვს კონფლიქტის განხილვას, მაშინ იტალია გამოვა ერთა ლიგიდან. მთელმა კაბინეტმა მოიწონა ეს გადაწყვეტილება. ეს გაკვეთილი, მუსოლინის განცხადებით, კარგათ იქნება გაგებული იტალიის მიერ.

საბერძნეთში

ანტი-იტალიური მანიფესტაციები

ვენა. 5 სექტემბერი. ათენიდან და სალონიკიდან მიღებული ცნობით, იქ იმართება ანტი-იტალიური მანიფესტაციები. საბერძნეთის მთავრობა გაძლიერებით იცავს იტალიის საელჩოს.

ჯილდო მკვლელთა შეპყრობისათვის.

ბერლინი. 6 სექტემბერი. საბერძნეთის მთავრობამ 1 მილიონი დრახმა დანიშნა ჯილდოთ იტალიელ მისიის წევრთა მკვლელების შეპყრობისათვის.

ინგლისის გავლენით.

ბერლინი 6 სექტემბერი. „ფოსიშე ცეიტუნგი", თავის ჟენეველ კორესპონდენტის ცნობის თანახმად, ამტკიცებს, რომ საბერძნეთის უკანასკნელი წინადადებები შეტანილია, როგორც სჩანს, ინგლისის გავლენით.

ოკუპაციის ხარჯები.

ბერლინი. 6 სექტემბერი. ათენიდან მიღებულ „დეილი ექსპრესის" ცნობით, იტალიის წარმომადგენელმა განუცხადა საბერძნეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ კორფუს ოკუპაციის ყველა ხარჯები საბერძნეთს დაედება.

ერთა ლიგის შუამავლობა

საბერძნეთის წარმომადგენელი.

პარიზი. 6 სექტემბერი. ათენიდან მარსელში ჩავიდა და ჟენევაში გაემგზავრა საბერძნეთის მთავრობის მიერ დანიშნული საბერძნეთის საგანგებო წარმომადგენელი ერთა ლიგაში, გენერალი მაზარაკისი.

ლიგის კრიზისი.

რომი. 6 სექტემბერი. „დეილი ხრონიკლ"-ი იტყობინება, რომ ერთა ლიგა მძიმე კრიზისს განიცდის. **ყველა ერებს, ლიგის წევრებს, წინადადება მიეცათ, როგორც იტყობინებიან, გამოიყენონ ლიგის სტატუტის 16 მუხლი, რაც გამოიწვევს იტალიის წინააღმდეგ მიმართულ სრულ ბოიკოტს**

მუსოლინი არ ცნობს ერთა ლიგის ავტორიტეტს.

რომი. 5 სექტემბერი. „მასაჯერო"-ს ცნობით, მუსოლინიმ გადასწყვიტა არ იცნოს ერთა ლიგის კომპეტენცია იტალია-საბერძნეთის კონფლიქტში იმ შემთხვევაში, თუ ლიგა დაჟინებით დაიცავს თავის უფლებას კონფლიქტში ჩარევაზე, იტალია უფლებას დაიტოვებს გადასჭრას საკითხი, დარჩეს თუ არა ის ლიგაში.

ყველა იმედებს ერთა ლიგაზე ამყარებენ.

ლონდონი. 5 სექტ. იტალია-საბერძნეთის კონფლიქტის შესახებ ინგლისის მთავრობის ოფიციალური ცნობის უქონლობის გამო, „დეილი ტელეგრაფ"-ი ფიქრობს, რომ ინგლისის მთავრობა ამ საკითხში სავსებით ემყარება ერთა ლიგას, როგორც ერთად ერთ შესაფერ ინსტანციას. გაზეთი სწერს: „თუ იტალიას სურს მშვიდობიანობა, მან უნდა იცოდეს თავისი ვალდებულება ერთა ლიგის წინაშე და არ უნდა აიძულოს თავისი მეგობრები კრიტიკა გაუკეთოს მის მოქმედებას". ინგლისი პასუხისმგებლად სთვლის თავის თავს კორფუს ნეიტრალიტეტში, რომელიც გამოცხადდა 1864 წელს. ინგლისის პოზიციას იწონებს აგრეთვე „დეილი გერარდი".

ტრედუნიონების კონგრესის თავმჯდომარემ ვილიამსმა განაცხადა, რომ მუსოლინის მოთხოვნილებამ შეიძლება მიგვიყვანოს ომამდე. ფიქრობენ, რომ ტრედუნიონების კონგრესი მიიღებს საპროტესტო დადგენილებას ახალი ომის და ერთა ლიგის წესდების დარღვევის წინააღმდეგ.

იტალიის პოლიტიკის სასტიკი კრიტიკით გამოვიდა მუშათა პარტიის ლიდერი კლაინსი, რომელმაც განაცხადა, რომ ლიგა დაუყოვნებლივ უნდა ჩაერიოს კონფლიქტში. მუსოლინს იცავს მხოლოდ „დეილი მეილი", რომელიც აღნიშნავს ინგლისის კაბინეტის საგარეო პოლიტიკის მერყეობას.

ოფიციალურ წრეებში ერთა ლიგას ერთად ერთ ავტორიტეტულ ორგანოდ სთვლიან საბერძნეთ იტალიის კონფლიქტის გადაჭრაში. „მორნინგ პოსტ"-ის გარდა, მთელი პრესა იცავს მთავრობის თვალსაზრისს.

ერთა ლიგა შეუდგა კონფლიქტის შუამავლობას.

ლონდონი. 6 სექტ ერთა ლიგის ღია სხდომაზე ჟენევაში სალანდრამ იტალიის სახელით განაცხადა, რომ ერთა ლიგის კომპეტენციაში არ შედის იმ კონფლიქტის გადაწყვეტა, რომელიც შეიძლება მოგვარებულ იქნას მხოლოდ ელჩთა კონფერენციაზე. **სალანდრამ შემდეგ განაცხადა, რომ კორფუს ოკუპაციას არ აქვს მტრული ხასიათი და იტალიას არ სურს ერთა ლიგის უფლებათ აღიაროს მისი კონფლიქტში ჩარევა. საბერძნეთის დელეგატი** პოლიტისი თავის მხრივ იზიარებდა იმ თვალსაზრისს, რომ ერთა ლიგას აქვს სრული იურისდიქცია კონფლიქტის გადასაწყვეტად. კრების თავმჯდომარემ იაპონიის დელეგატმა იშიმ შეიტანა წინადადება ხვალისათვის გადასდოს საკითხის გადაჭრა. ინგლისის დელეგატმა სესილმა განაცხადა, რომ ის თანახმაა საკითხის მოკლე ხნით გადადებისა, მაგრამ მოითხოვა ერთა ლიგის სტატუტის 10,12 და 15 მუხლების წაკითხვა ფრანგულსა და ინგლისურ ენაზე. მუხლების წაკითხვის შემდეგ ლორდ სესილმა მიაქცია ყურადღება იმ ფაქტზე, რომ ეს მუხლები შეადგენენ ვერსალის, ნეილის, ტრიანის და სენ-ჟერმენის ხელშეკრულებათა ნაწილს და თუ ეს მუხლები არ იქნება მიღებული მხედველობაში, აღნიშნული ხელშეკრულებათა საფუძვლები შეირყევაო. ლორდ სესილის განცხადებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე, რომელიც ფეხზედაც კი წამოდგა.

გერმანიის ამბები

შტრეზემანმა შტუტგარდტში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ გერმანია თანახმაა შეუთანხმდეს საფრანგეთს და გადასცეს მას კონტრიბუციების გადახდის გარანტიად გერმანიის რკინისგზები, ეს არის კაპიტულიაცია საფრანგეთის წინაშე.

ბურჟუაზიული პრესა ესალმება შტრეზემანის სიტყვას. მემარჯვენე (რეაქციონური) პარტიები უკმაყოფილო არიან.

შტრეზემანის სიტყვა შტუტგარტში.

ბერლინი. 5 სექტემბერი. შტუტგარტში წარმოთქმულ სიტყვაში, შტრეზემანმა აღნიშნა საფრანგეთ-გერმანიის მჭიდრო სამრეწველო დაახლოვების აუცილებლობა. „ეკონომიური კავშირი ორი ერის, რომლებიც დაკავშირებული არიან სამრეწველო ინტერესებით—განაცხადა შტრეზემანმა—საუკეთესო საშუალებაა პოლიტიკური წინააღმდეგობების მოსაგვარებლად. **გერმანიის მთავრობა გადასცემს საფრანგეთს თავის განკარგულებაში, სარეპარაციო გადასახადების გარანტიების სახით, გერმანიის ყველა რკინისგზებს და გერმანიის მეურნეობის სხვა დარგებს, რაც უფრო ხელსაყრელია, ვინემ რურის მაღაროების გადაცემა, რეინის რკინის გზების გირაოთ დადებით.**

შემდეგ შტრეზემანმა განიმეორა თავისი წინამორბედის წინადადება რეინის საგანგებო ხელშეკრულების დადების შესახებ დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის, საფრანგეთისათვის „რევანშის იდეის" უზრუნველყოფის მიზნით

სარეპარაციო გადასახადების ვადის გაგრძელების შემთხვევაში, გერმანია მზად არის დასდოს გარანტია პროცენტების გადახდის ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად მუშაობა რურის ოლქში დაიწყება მაშინვე, როგორც კი გერმანია დარწმუნდება კონფლიქტის გადაჭრის შესაძლებლობაში. საფრანგეთისათვის გარანტიების სახით ყველა სამეურნეო რესურსების გადაცემის გზით.

ამხ. მამია ორახელაშვილის სიტყვა

სრულიად საქართველოს მენშევიკთა ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე

ამხანაგებო, ხელახლა ნაპოვნო ძმებო და თანამშრომელნო! საქართველოს კომუნისტურ პარტიის სახელით უნდა მოგახსენოთ შემდეგი. რა თქმა უნდა, ამხანაგებო, დღეს ჩვენი გული ძალუმად ტოკავს. დღეს თავდება ის სისხლით მორწყული დავა, რომელიც ჩამოვარდა ოცი წლის წინეთ მუშათა რევოლიუციონურ პარტიაში და რომელმაც გაგვთიშა ჩვენ, თითქმის სამუდამოდ. დღეს გამთელდა ჩვენი ოჯახი. შეიძლება ვისმეს ეგონოს, რომ ეს საბაბია იმისთვის, რომ ჩვენ საქართველოს კომუნისტები აღვივსოთ სიამაყით, რომ ჩვენ „ვაჯობეთ" მენშევიკებს. ჩვენში არ არის მისხალიც ამ გრძნობისა! (ტაში). ჩვენ ამ კანონიერი სიამაყით ავივსებით მაშინ, როცა თქვენთან ერთად ბრძოლას დავამთავრებთ და საბჭოთა ხელისუფლების დროშას აღვმართავთ იქ, სადაც საბოლოვოდ უნდა გადასწყდეს დავა შრომასა და კაპიტალის შორის. თქვენ იცით, რომ ბრძოლა არ არის გათავებული, წინ ბევრი წვალება, ჯაფა, შეიძლება სისხლის ღვრაც მოგველის. ბევრი სამარე გაითხრება, პირს მოკუმავს და ჩაიტანს რევოლიუციონერების გვამებს. ეს თქვენც იცით და სწორედ ამიტომ არის ფასდაუდებელი თქვენი გადაწყვეტილება ჩვენთან შემოერთებისა. მთელი შეგნება ჩვენი, მარქსიზმის სწორი ანალიზი იმას გვეუბნება და იმის მომასწავებელია, რომ გამარჯვება საბოლოოდ პროლეტარიატის იქნება. მაგრამ საბოლოო გამარჯვება ჯერ შორს არის, გზა ბრძოლისა კი სწორეა. დღეს თქვენ შემოსდგით ფეხი ამ გზაზე. და, დღეს მათ, ვინც დარჩენილია გაპარტახებულ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, სადაც მარქსის როლს თამაშობს ს. დევდარიანი, ენგელსის—ხომერიკი, და ლასალის—გოგიტა ფაღავა,—დეე მათ იროკონ, რომ თქვენ მხოლოდ იმიტომ შემოუერთდით პროლეტარულ რევოლიუციას, რომ შიშმა აგიტანათ, ან ავტომობილების ეშხი მოგერიათ. არა და არა ერთ წუთსაც არ უშვებს ამ აზრს საქართველოს კომუნისტური პარტია. შეიძლება არიან ასეთები 12 ათასში ათიოდე უეჭველად გამოერევა ასეთები, მაგრამ ეს საერთო სურათს არ ჩრდილავს. ეს სურათია—მენშევიზმის ნაკადის შეერთება საბჭოთა რევოლიუციის ტალღებთან.

ახლა ნება მიბოძეთ მოკლეთ შევეხო ზოგიერთ საკითხს, რომელიც დაისვა ამ ტრიბუნიდან და რომელიც გადაუჭრელი დარჩა ზოგიერთ ამხანაგისათვის. როდესაც აქ ამბობს ზოგიერთი, რომ სრულიად არ გრძნობენ დანაშაულს, არც პირადულს, და არც პარტიულს, უმატებენ რომ მათი თეორეტიული სინიდისი სრულიად შეუბღალავია, რომ ბოლშევიკები და მენშევიკები ყოველთვის ერთი და იგივე ხაზის გამტარებლები იყვნენ და ერთად იყვნენო, რომ ჩვენ შორის ვითომ არ ყოფილიყო განსხვავება, ვიდრე გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა,—მე არავის შეურაცხყოფა არ მინდა,—მაგრამ გადაჭრით ვამბობ: ეს არის თავის მოტყუება. ბოლშევიზმის და მენშევიზმის გათიშვას ჰქონდა ღრმა მიზეზები—სოციოლოგიური და შესაფერისი თეორეტიული ხასიათისა. „ჩვენ ძმები ვართ, ერთი ოჯახის ძმები", მაგრამ ძმებში ხომ იცით ზოგიერთი გამოვა რევოლიუციონერი, ზოგი კონტრ-რევოლიუციონერი, ზოგი შეუდრეკელი მებრძოლი, ზოგიც კი ფრთხალი, დამთმე, შემთანხმებელი. თქვენ უნდა შეხედოთ სინამდვილეს ორივე თვალით და სთქვათ: ჩვენი ძველი გზა არ გამოდგა სწორი; ამ გზის დასაწყისი იმ დროინდელია, როდესაც ჩვენ შორის გაირბინა „შავმა კატამ", როცა ჩვენ შორის ჩამოვარდა დავა, რომელმაც გაგვყო, გაგვთიშა, და ბოლოს ბარიკადებს აქეთ იქით დაგვაყენა. გაიხსენეთ ჩვენი პარტიის მეორე კრება, სადაც პირველი ნიშანი გამოჩნდა ბოლშევიზმ-მენშევიზმისა. პირველი შეხედვით, სულ უბრალო, უმნიშვნელო საკითხის ირგვლივ გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. თქვენ გახსოვთ პირველი მუხლი საორგანიზაციო წესდებისა. ლენინის პროექტით პარტიაში შესვლის უფლება ენიჭებოდა მხოლოდ იმას, ვინც იზიარებს პარტიულ პროგრამას და აქტიურ მუშაობას ეწევა ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციაში. მომავალი მენშევიკების პროექტი კი პარტიაში შესვლის უფლებას ურიგებდა ყველას, ვინც განაცხადებს პარტიის პროგრამაზე თანხმობას.

აი, საიდან იწყება ჩვენი განსხვავება. აი, სად იჩინა თავი ოპორტუნიზმმა: კლასობრივ რევოლიუციონურ პარტიის მაგიერ, მუშათა კლასს აჩრიდენ „ფართო", „ხალხურ" პარტიას, აი პირველი ნაპერწკლები მომავალი გადაგვარებისა, ანუ უკეთ—მენშევიზმის ნამდვილი ბუნების გამჟღავნებისა.

აი ეს იყო სწორეთ დასაბამი მენშევიზმისა. ამ მენშევიზმის ცოცხალი განსახიერება იყო მთელად თქვენი პრაქტიკა. როცა საქართველოს მენშევიკურმა პარტიამ ფართოდ გააღო პარტიული ჭიშკარი და პარტწევრების რიცხვი 80,000 მდის აიყვანა, განა ეს მის პარტწესდების პირველი მუხლის სისწორით განხორციელება არ იყო? ვინც განაცხადებს სურვილს გადიხდის საწევრო გადასახადს, იქნება ის მუშა, გლეხი, მიკიტანი თუ მღვდელი—მობრძანდით სოც.-დემ. პარტიაში! შემთხვევითი მოვლენა როდია ის გარემოება, როცა ბ. ჩხენკელი ერთი ლიდერი მეორე ინტერნაციონალისა დღეს შესტირის მეორე ლიდერს იმავე ინტერნაციონალისას ჰენდერსონს. საქართველოს მღვდელ-ეპისკოპოსებს და „შეგინებულ" ეკლესიების გამო. ეს ნაყოფია იმ დავისა, რომელიც დასაბამი შეიქნა მენშევიზმისა და ბოლშევიზმის შუა დავისა, რომლის გადასაჭრელად იარაღი შეიქნა საჭირო ბოლოს და ბოლოს.

რა კლასობრივი მოვლენის გამოხატულება იყო ეს? ეს იყო ჩანასახი წვრილი ბურჟუაზიული პარტიისა. როდესაც ორგანიზაციაში მოკალათების უფლება ეძლევა ყოველი ჯურის ხალხს, ეს არის მაჩვენებელი, რომ ბოლოს და ბოლოს, სოციალისტური იარლიკი ვერ იხსნის ამ პარტიას ე. წ. „ხალხურ" პარტიათ გადაგვარებისაგან, ე. ი. ისეთ პარტიათ, რომელსაც აფასებს ყოველ ქვეყანაში კაპიტალისტური კლასი, რომელიც რადიკალური დროშის ქვეშ გაატარებს ბურჟუაზიულ გავლენას მუშათა კლასზე. ამ მოვლენამ აშკარათ თავი იჩინა და ფართო ხასიათი მიიღო, როდესაც სოციალ-დემოკრატია გახდა ქვეყნის ბატონ-პატრონი და იწყო შენება სახელმწიფოსი მსგავსად თავის სახისა და ხატებისა, ე. ი. სახელმწიფო წვრილ-ბურჟუაზიულ დემოკრატიული, არსებითად ბურჟუაზიულ, ე. ი. მიბმული მსხვილ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა სისხლიან ურემზე. მან შესძლო იმის აშენება, რისი აშენებაც შეეძლო, ვინაიდან ის იყო წვრილი ბურჟუაზიული პარტია მიუხედავათ იმისა, რომ შუა გულში ბლომათ თავი მოეყარა წმინდა მუშურ ელემენტებს. არა მუშურ ნაჭუჭში მოქცეული ეს პროლეტარული ნაწილი თავის ნებისყოფას ვერ ამჟღავნებდა და ვერ ახვევდა ხელმძღვანელ ორგანოებს: ორგანიზაცია წვრილ ბურჟუაზიულათ დაჭიანებული გამოდგა. თვით ნოე ჟორდანიამ 1918 წ. ერთ-ერთ თავის მოხსენებაში განაცხადა: ჩვენ გვეგონა, რომ კლასობრივი ბრძოლით უფრო ადრე მივაღწევდით ჩვენს მიზანსო, მაგრამ სინამდვილემ გამოარკვია, რომ ჩვენ ხალხს ვერ აუვლით გზასო ესე იგი—კლასობრივი პარტიის მაგიერ ფართო „ხალხური" პარტია იქნა ალსარებული. მაგრამ წვრილმა ბურჟუაზიამ თავისი ოქროს ხანა უკვე დიდი ხანია განვლო, მას უკვე დაკარგული აქვს დამოუკიდებელი რევოლიუც. ძალის როლი, მე-18 საუკუნის მიწურულში საფრანგეთში რამდენიმე ხანს მან შესძლო ჩაეგდო ძალა-უფლება ხელში, გამოემუშავებია დემოკრატიული კონსტიტუცია. მაგრამ ის მალე იქნა დამარცხებული მსხვილ და საშუალო ბურჟუაზიისაგან. მას შემდეგ წვრილ ბურჟუაზიას უხდება პოლიტიკური ქანაობა ორ ძირითად კლასს შუა: რეაქციონურ ბურჟუაზიასა და რევოლიუციურ პროლეტარიატს შუა. კ. კაუცკი, რომელიც დღეს დაყუდებული ბერივით დაჩოქილია დემოკრატიის ხატის წინ, წინეთ მუდამ იმეორებდა, რომ დემოკრატია გავს იმ თაფლის სანთელს, რომლისთვისაც ორივე მხრიდან აქვს წაკიდებული ცეცხლი, ორივე მხრიდან იწვისო. ეს იმას კი არ ნიშნავსო, რომ წვრილ ბურჟუაზიულ მასსებს არ შეუძლიათ მიემხრონ პროლეტარულ რევოლიუციას -პირიქით, წვრილ ბურჟუაზიული მასსების სიმპატია—ანტიპატია, და მით უფრო მათი აქტიური ამოძრავება ხშირად სწყვეტს რევოლიუციის საკითხს. ერთი კი აშკარაა: წვრილბურჟუაზიას და მის პარტიას, არ შეუძლია დამოუკიდებელი ბრძოლის, დამოუკიდებელი ტაქტიკის წარმოება. ორი სული ტრიალებს მას ბუნებაში, ბურჟუაზიული და პროლეტარული, ხან ერთი ძლევს და ხან მეორე.

ახლა მეორე მაგალითს შევეხოთ. 1905 წლის გამოცდილებას და გაკვეთილს. ამხ. ფარნიევს უყვარს თქმა და განმეორება, რომ ბოლშევიკები ჩვენსავით, ე. ი. მენშევიკებსავით დემოკრატები იყვნენო. მართალია, ვიყავით თვითმპყრობელობის ნანგრევზე დემოკრატიული წესწყობილების დამყარების. მაგრამ, ერთი თვალით გაიხედეთ უკან და შეადარეთ ჩვენი მაშინდელი „დემოკრატობა" თქვენსას. მაშინდელი რუსეთის ეკონომიკა იყო იმ საფეხურზე, რომ პირველი ჩვენი რევოლიუციის ამოცანა გამოიხატებოდა თვითმპყრობელობის დამხობაში, მაშინ წმინდა პროლეტარულ დიქტატურაზე ლაპარაკი შეუძლებელი იყო. მაგრამ ამ საკითხშიც ჩვენმა პარტიამ, თუ ფრაქციამ ისეთი პროგრამული ლოზუნგები წამოაყენა, რომ აშკარა გახდა მისი დაშორება მენშევიკურ პოლიტიკურ-რევოლიუციურ მსოფლმხედველობიდან. ჩვენ ვაყენებდით ლოზუნგს არა დემოკრატიული, ბურჟუაზიული მთავრობისა, არამედ ისეთი დროებითი რევოლიუციონური მთავრობის შედგენისას, რომელიც რევოლიუციას დაასრულებდა მუშათა პარტიის პროგრამა-მინიმუმის სავსებით ცხოვრებაში გატარებით. ჩვენი პარტია მაშინაც მუშისა და გლეხის კავშირის ნიადაგზე დაყრდნობილ დიქტატურას ქადაგებდა. ამ მიზნით ის არა თუ დასაშვებათ, არამედ აუცილებლადაც სთვლიდა დრ. რევ. მთავრობაში შესვლას და იქ ბურჟუაზიული ფრთის წინააღმდეგ ბრძოლას. მუშისა და გლეხის კავშირი კონტრ-რევოლიუციური ბურჟუაზიის წინააღმდეგ—აი ჩვენი მაშინდელი ფორმულა. მუშისა და გლეხის დიქტატურა არა სოციალიზმის დასამყარებლად, არამედ უკიდურესი დემოკრატიული წყობილების დასამკვიდრებლათ, პროგრამა-მინიმუმის სავსებით გატარებით, მემამულეების სამუდამოთ გატეხით.

ახლა მოიგონეთ მენშევიზმის მაშინდელი და მერმინდელი პოზიცია: ვიჯმნი გლეხისაგან, ვიჩოჩავ ბურჟუაზიისკენ! არამც და არამც დროებით მთავრობაში შესვლა, ვინაიდან რევოლიუცია ბურჟუაზიულია და მისი მამოძრავებელი ძალა არის და უნდა იყოს ბურჟუაზია პროგრესიული და რევოლიუციონერი!—აი მოკლეთ მენშევიზმის პოზიცია. ნუ თუ ეს ორი პოზიცია ერთი მეორის განმეორებაა? რა თქმა უნდა არა. მაშასადამე ერთგვარობის ნიშნის დასმა ბოლშევიზმ-მენშევიზმ შორის დიდი გაუგებრობის ნაყოფია.

ახლა ავიღოთ იმპერიალისტური ომის ხანა. ამ იმპერიალისტურმა ომმა შექმნა სულ ახალი ვითარება, ახალი სიტუაცია. და ეს სიტუაცია იყო უძლიერესად რევოლიუციონური, ყველგან, ნამეტურ რუსეთში. აქ ქვეყნის ეკონომიკაც კი წინ წაწეული დარჩა 1905 წ. შედარებით. პროლეტარული რევოლიუცია აუცილებელი შეიქნა მარტო იმისთვისაც, რომ გამაველურებელ ომისგან თავი დაგვეღწია. ყველამ უწყის თუ რა დამოკიდებულება დაიჭირა ჩვენმა პარტიამ ომის საკითხთან პირველი თოფის გავარდნის წამიდან. ისიც ვიცით, თუ როგორი იყო მენშევიზმის პოზიცია. მენშევიკებმა არ გაიზიარეს ის შეხედულება, რომლითაც ისტორია თითქო თავში გვიკაკუნებდა. მათ ჩვეულებრივათ შეაფასეს როგორც ომით შექმნილი სიტუაცია, ისე 1917 წლის რევოლიუცია: ეს ბურჟუაზიული რევოლიუცია არის, მექანიკური განმეორებაა ყოფილ რევოლიუციებისაო. მენშევიზმის ეს შეცდომა გადაიქცა დანაშაულად მუშათა კლასის წინაშე.

აი, ის ახალი სანგარი, რომელიც გაითხარა ჩვენ და მენშევიკების შორის და დაგვაყენა ბარიკადების ორ მხარეს. შეიძლება ამას შემდეგ იმის თქმა, რომ „ჩვენ შორის არავითარი განსხვავება არ იყოო"? ერთ პარტიაში ყოფნის დროსაც კი ჩვენ შევადგენდით ორ ფრთას, ორ შეურიგებელ ფრაქციას. შემდეგში ხომ იარაღითაც ველაპარაკებოდით ერთმანეთს.

მე პირადათ სულაც არ მიმაჩნია უსაფუძვლოთ და მით უმეტეს სასაცილოთ ერთი ამხანაგის საყვედური: ჩვენ, მუშებს სწორი თარგმანი არ გვქონდა მარქს ენგელსის ნაწერებისა, რომ სისწორით გავერკვეულიყავით დემოკრატია დიქტატურის საკითხებშიო. რამოდენიმეთ მართალია ეს საყვედური. აწინდელი კაუცკი, მაგალითად, ირწმუნება, რომ მარქს-ენგელსის ნაწერებში მხოლოდ ერთი წინადადებაა პროლეტარ. დიქტატურის შესახებ, დანარჩენი ზღვა გენიალურ ნააზრევისა კი ვითომ დემოკრატიის ქებათა-ქებაა. მაგრამ გავიხსენოთ მარქსის „გოტას პროგრამას კრიტიკა", რომელიც ბრაკესადმი მიწერილ წერილს წარმოადგენს და დემოკრატიას აცამტვერებს აქამდის ქართველ მუშებს არ ქონებიათ ეს ბროშურა. გავიხსენოთ ის წერილი, რომელიც მისწერა ენგელსმა ბებელს იმავე საკითხების შესახებ. ეს შესანიშნავი წერილი ბებელს ქონდა შენახული მგონი 20 წელიწადი თავის პორტფელში და მხოლოდ 1913 წ., როდესაც ავად იყო და თავის მემუარებს სწერდა,—მაშინ გამოაქვეყნა ეს წერილი, განა დამახასიათებელი არ არის ეს? თუ ბებელი ასე მოიქცა, ხალას ოპორტიუნისტებს რაღა მოეთხოვებოდა...

ამ მხრივ ბევრი დეფექტი იყო, ბევრი საკითხი იყო გაუშუქებელი, მაგრამ—ძირითადი, რომელიც ყოფდა ჩვენს ერთ ბანაკს ორ ნაწილად,—ცხადი იყო და ნურავინ ამბობს, რომ არაფერი არ განსხვავებდა ერთი მეორისაგანო. აქ ისიც კი გავიგონე, რომ პლეხანოვის სიტყვები იმის შესახებ, რომ „მენშევიკები ნახევარ-ბოლშევიკები არიან", სწორი არ არის, ვინაიდან მენშევიკები სრული ბოლშევიკები იყვნენო ეს ზღაპარს უფრო ჰგავს, ვინემ ისტორიული ღირებულების ფაქტის აღნუსხვას.

მაგრამ ისტორიას ახლა დავანებოთ თავი.

დღევანდელ საჭირ-ბოროტო საკითხებს შევეხოთ. ზოგი დელეგატი კითხვას იძლეოდა: რას წარმოადგენს საქართველო? დამოუკიდებელია, თუ დამოკიდებული? დღეს ამ ტრიბუნაზე ძალაუნებურათ გამოვიდა კალენიკე გოგიბერიძე და განიმეორა—თავისი ისტორიული პარლამენტარული შეკითხვა, რომელიც მას შეუტანია ოზურგეთის სამაზრო კონფერენციაზე: „ამ კონფერენციის შემდეგ იქნება, თუ არა, საქართველო დამოუკიდებელი და წითელი ჯარი გაყვანილიო". ამ საკითხის ასე საცოდავათ დასმა იქნებოდა სრული უარყოფა იმ მუშაობისა, რომელიც თქვენ აქ, კოლექტიურად, აწარმოეთ და უარყოფა იმ დიად მიზნისა, რომელიც თქვენ დაისახეთ. საკითხის დასმა: ოზურგეთის კონფერენციის შემდეგ იქნება თუ არა საქართველო დამოუკიდებელი? ჩვენ არ გვესმის. რასაკვირველია, საბჭოთა საქართველო იყო, არის და იქნება დამოუკიდებელი ისეთ პიროვნებათაგან, როგო-

სამეცნიერო ექსპედიცია ყაზბეგზე

ექსპედიცია პროფ. ა. დიდებულიძის მეთაურობით გაემგზავრა 26 აგვისტოს დილის 10 ნახ. საათზე. ღამე გაათია ფასანაურში, მეორე დღეს დილის 5 საათზე გაემგზავრა ფასანაურიდან და დილის 11 საათზე უკვე სტეფანწმინდაში იყო.

27—28 აგვისტოს სწარმოებდა დაკვირვება გამოკვლევები.

28 აგვისტოს ექსპედიცია ეწვია სამების ეკლესიას, სადაც დიდი დღესასწაული იციან. მოხევეები ექსპედიციას დიდი სიხარულით ხვდებოდენ. ექსპედიციის გამგზავრების რამოდენიმე დღით ადრე მყინვარზე გაემგზავრა სპარტაკელთა ექსკურსია, რომელიც ექსპედიციაზე ერთი დღით ადრე გამგზავრებული იყო მყინვარისაკენ, ექსპედიცია გავიდა 29 აგვისტოს დილის 8 ნახევარ საათზე და შეუდგა მყინვარზე ასვლას.

ექსპედიციას მყინვარიდან ჩამოეგებენ გამყოლი მოხევეები, რომლებიც წინამძღოლობას უწევდენ სპარტაკელებს მყინვარზე ასვლის დროს. მათი გადმოცემით 27 სპარტაკელს (ქალ-ვაჟს) მიუღწევია ერმოლოვის ქოხამდე, ხოლო 18 სპარტაკელი კი თვით მყინვარის წვერზე ასულა.

ძალიან მარდათ ადიოდნენ, როგორც ვაჟები, ისე ქალები,—ამბობდენ გამყოლი მოხევეები.

ამინდი კარგი სდგას, ექსპედიციის წარმატებას ხელს უწყობს მყინვარი—პატარძალი, როგორც მოხევეები ეძახიან—იგი ხან გასუფთავებულია, ხან კი ნისლით იფარება.

საერთოდ დიდებული სანახაობაა! ყველას იტაცებს. ექსპედიცია მხნედ მიიწევს მყინვარისაკენ.

ექსპედიციის შემადგენლობაში ყველა კარგათ არის და ნათესავებს ამხანაგებს და მეგობრებს მათი ჯავრი ნუ ექნებათ.

ხ.

„ველოსიპედით დედა-მიწის გარშემო“

4 სექტემბერს საღამოს, ქუთაისიდან ტფილისში ჩამოვიდა მსოფლიო მოგზაური ადოლფ დე გროტი,—„მფრინავი ჰოლანდიელი“, როგორც მას უწოდეს იმ ქვეყნებში, რომელიც მან უკვე მოიარა. დე გროტი გამოვიდა ამსტერდამიდან წარსული წლის 10 სექტემბერს ველოსიპედით; ეს ველოსიპედი იყო მისი მოგზაურობის ერთად ერთი საშუალება, გარდა რა თქმა უნდა, ზღვაზე და მდინარეებზე გადასვლისა. ამსტერდამიდან დე-გროტი გაემგზავრა ჰაგით ბელგიაში, შემდეგ ჰამბურგში და იქიდან ავლენცბურგით დანიაში. დე-გროტმა მოიარა თითქმის მთელი სკანდინავია, იყო ნორვეგიაში და შვეციაში. ქრისტიანიიდან იგი გაემართა ჩრდილოეთ პოლიუსზე, საიდანაც დაბრუნდა ფინეთში, ჰელსინგფორსიდან ესტონეთში და რეველზე და რიგაზე გავლით გადავიდა რუსეთ ლატვიის საზღვარზე ოსტროვის მახლობლად, იქიდან დე-გროტი გაემგზავრა პსკოვში, პეტროგრადში, მოსკოვში, ყირიმში, ნოვოროსისკით ტუაპსეში და იქიდან ისევ ველოსიპედით იმოგზაურა სოჭში, სოხუმში, ოჩამჩირეში, ქუთაისში და გუშინ წინ ე. ი. 4 სექტემბერს საღამოს ჩამოვიდა ტფილისში. როგორც ზევითაც აღვნიშნეთ მთელი მოგზაურობა ტფილისამდე დე-გროტმა მოახდინა ველოსიპედით.

დე-გროტის შემდეგი მარშრუტი ასეთია: ტფილისიდან—სპარსეთში, ავღანისტანში, ინდოეთში, ჩინეთში, იაპონიაში, ციმბირში და ამერიკაში, სადაც ის გადავა ველოსიპედით ბერინგის სრუტეზე ზამთარში.

ამგვარად დე-გროტი მოივლის თითქმის მთელ დედამიწას, გარდა აფრიკისა და ავსტრალიისა. მის მოგზაურობას არავითარი სპეციალური მიზანი არ აქვს. ის არის მოხალისე სპორტსმენი—ბავშვობიდანვე ოცნებობდა მთელი დედა მიწის მოვლაზე.

საინტერესოა მისი შთაბეჭდილება საბჭოთა ქვეყნებზე. მისთვის ბევრი საშინელი უამბნიათ საზღვარ გარეთ საბჭოთა რუსეთის შესახებ, მაგრამ როდესაც ის ჩავიდა რუსეთში, დაჰყო რამდენიმე დღე პეტროგრადსა და მოსკოვში გაოცებული დარჩა იმ წესრიგით, რომელიც იქ ამჟამად სუფევს.—„მართალია მე არავითარ პარტიულ მიმართულებას არ ვეკუთვნი, მაგრამ შემიძლია სრულიად ობიექტიურად ვსთქვა, რომ საბჭოთა რუსეთში მე ყველგან დავინახე გულმოდგინე, აღმშენებლობითი მუშაობა და აღორძინების გზაზე დამდგარი ქვეყანა“.

შეეხო რა შინაურ პოლიტიკას, შტრეზემანმა ხაზი გაუსვა ქონების კვალობით და შრომის ბეგარის შემოღების აუცილებლობას, გაჰკიცხა საბოტაჟი, რომელსაც აჩენენ შეძლებული კლასები გადასახადების მიმართ და დაიცვა ზედმეტი საათების მუშაობის შემოღება. პირველყოვლისა სამთო-მადნო მრეწველობაში.

შემდეგ შტრეზემანმა აღნიშნა, რომ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება აწარმოვოს ანგარიშები ოქროს მარკებით და მოახდინოს საგადასახადო სისტემის დეცენტრალიზაცია.

ს. ს. რ. ცნობის გარშემო

ს. ს. რ. კავშირის ცნობის გარშემო

საბჭოთა კავშირი—ინგლისი.

ინგლისელი მრეწველები გაოცებული არიან ს. ს. რ. კავშირის წინსვლით.

ლონდონი 5 სექტემბერი. ფირმა „ბეკოს“-ის დირექტორი ბალდვინი აბათილებს ცნობებს იმის შესახებ, თითქოს ის და მისი კოლეგები იმედგაცრუებულნი დაბრუნდენ რუსეთიდან, და აღნიშნავს, რომ, პირიქით, ისინი გაოცებული არიან იმ წარმატებით, რომელიც გამოიჩინა საბჭოთა ხელისუფლებამ ფინანსების დარგში. თავის სავაჭრო პოლიტიკას საბჭოთა მთავრობა სასოფლო-მეურნეობის ინტერესებს უფარდებს. რუსეთის აღდგენის პროცესი—ყოველივე ეჭვს გარეშეა.

კუნძულ ვრანგელზე ექსპედიციის გარშემო.

ლონდონი. 5 სექტემბერი. სტეფენსენი უარყოფს აზრს, თითქოს კრაუფორდმა ექსპედიცია კუნძულ ვრანგელზე მოაწყო კუნძულზე ინგლისის დროშის აღსამართავათ და აღნიშნავს, ინგლისის დროშა აღმართული იყო კუნძულზე კანადის ექსპედიციის მიერ კიდევ ომის დროს.

სხვადასხვა

სამხრეთ-სლავია

საპროტესტო დემონსტრაცია ბულგარეთის ტერორის წინააღმდეგ.

ვენა. 5 სექტემბერი. 8 და 9 სექტემბერს სამხრეთ-სლავიის მუშათა დამოუკიდებელი პარტია აწყობს სამხრეთ-სლავიის ყველა პროვინციებში საპროტესტო დემონსტრაციებს ბულგარეთის თეთრი ტერორის წინააღმდეგ.

პარტია მოუწოდებს ყველა წევრებს, რათა ერთი დღის სამუშაო ხელფასი გადასდონ ტრიფაილის ოლქის გაფიცულ მემაღაროების სასარგებლოდ.

ირლანდია

რესპუბლიკანელების გამარჯვება.

ლონდონი. 5 სექტემბერი. არჩევნების შემდეგ ირლანდიაში რესპუბლიკანელებმა მიიღეს 44 ხმა 153-დან; რესპუბლიკანელები მოითხოვენ დე ვალერას დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

შვეცია.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე შვეიცარიაში.

სტოკჰოლმი 5 სექ. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს სტოკჰოლმში გაიმართა ორი მიტინგი ცის ქვეშ.

უნგრეთი.

უნგრეთის წითელი არმიის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსის საქმე.

ვენა. 5 სექტ. სასამართლო ხელისუფლებამ დაადგინა საბუთების სიმცირის გამო შეიწყვიტოს უნგრეთის წითელი არმიის გენერალური შტაბის ყოფილ უფროსის შტრამფელდის საქმე; უკანასკნელი დაპატიმრებული იყო, მრავალი წლით ციხეში ყოფნიდან განთავისუფლების შემდეგ კომუნისტურ შეთქმულების ბრალდების გამო.

შეერთებული შტატები

დიპლომატიური ურთიერთობის განახლება მექსიკასთან.

ნიუ-იორკი. 5 სექტემბერი. 3 სექტემბერს განახლდა დიპლომატიური ურთიერთობა მექსიკასა და შეერთებულ შტატების შორის.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ამერიკა

პროფესიონალური პროპაგანდის ლიგის ყრილობა.

ყრილობის გახსნა.

ნიუ-იორკი. 5 სექტემბერი. ჩიკაგოში გაიხსნა პროფესიონალური პროპაგანდის ლიგის მეორე ყრილობა. ფოსტერი მთელ რიგ სიტყვებში ილაშქრებდა პარალელურ ორგანიზაციების შექმნის წინააღმდეგ პროფესიონალურ მოძრაობაში. გარდი ბრალს სდებდა ლიგას ახალი შოტლანდიის მემაღაროების გამოსვლებისათვის ხელის შეშლაში, რომელიც გამოწვეული იყო კონფლიქტით ადგილობრივ ორგანიზაციასა და მემაღაროების ფედერაციის თავმჯდომარე ლიუისს შორის.

სალამი დაპატიმრებულ რევოლიუციონერებს.

ნიუ-იორკი. 5 სექტემბერი. პროფესიონალური პროპაგანდის ლიგის ყრილობის მეორე სხდომაზე, 141 დელეგატის მონაწილეობით, რომლებიც წარმოადგენენ 51 მუშათა ორგანიზაციას, მიღებულია რეზოლიუცია, რომლის ძალით უნდა გაეგზავნოს დეპეშა დაპატიმრებულებს—საკეს, კონცეტტი და სხვებს საჩქაროთ განთავისუფლების სურვილით. დაადგინეს აგრეთვე გაუგზავნონ მისალმება მსოფლიოს ინდუსტრიალურ მუშათა კავშირის წევრებს, რომლებიც სხედან ციხეებში.

დეპეშებს ხელს აწერს ფოსტერი.

საბჭოთა კავშირში

3 მილიონი ფუთი პურის დამზადება.

მოსკოვი. 6 სექტემბერი. „ხლებოპროდუქტ“-მა დაამზადა 3 მილიონ ფუთამდე ხორბალი და ქერი. ეს მარცვლეულობა უმთავრესად გროვდებოდა უკრაინასა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს, ხოლო უკანასკნელ დროს კი რუსეთის შიდა ნაწილშიაც, სადაც პურეულობის მოზიდვა დღითი-დღე მატულობს.

ახალი წესდება ერთიან შრომის სკოლისა.

მოსკოვი. 6 სექტემბერი. განათლების სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა ახალი წესდება ერთიანი შრომის სკოლისა, რომლის ძალითაც სასკოლო საბჭოს წევრებად შედიან ადგილობრივი წარმომადგენელნი რუსეთის კომპარტიისა, კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირისა, ქალთა განყოფილებისა, საბჭოთა ადგილობრივ დაწესებულებისა და მოწაფეებისა, თითო წარმომადგენელი ყოველი უფროსი ჯგუფიდან, 12 წლიდან დაწყებული. სკოლის გამგის უფლებები გაფართოებულია.

რუსეთის პური ამერიკულ პურზე უკეთესია.

მოსკოვი. 6 სექტემბერი. რუსეთისა და ამერიკის პურის ნიმუშების ექსპერტიზამ აღმოაჩინა, რომ რუსეთის პური თავისი ღირსებით გაცილებით უკეთესია ამერიკულ პურზე. თუმცა ამერიკული პური საგანგებოდ ნარჩევია, მაგრამ მასში ბევრი ურევია გუდაფშუტა და ღვარძლი.

პარტიული ცხოვრება

ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს.

საბჭოთა პარტიულ სკოლებზე კვალიფიციურ კომუნისტ მუშაკების მიმაგრების შესახებ.

წელს საქართველოს კომპარტიის ცეკა ხსნის საქართველოს მაზრებში პირველი საფეხურის 10 ახალ საბჭოთა პარტიულ სკოლას. ამ ღონისძიების ცხოვრებაში გატარება შეუძლებელი იქნება, თუ საბჭოთა პარტიულ სკოლების მუშაკები დატვირთული იქნებიან სხვა სახის პარტიულ და საბჭოთა მუშაობით, რის გამოც მასწავლებლებსა და კურსანტებს შორის არ იქნება ის შინაგანი კავშირი და სულიერი დაახლოვება, ურომლისოდაც შეუძლებელია მათში კომუნისტური პარტიის რევოლიუციონური ტენდენციების გაღვივება.

აქცევს რა ამ გარემოებას ადგილობრივ პარტკომებს განსაკუთრებულ ყურადღებას, ცეკა წინადადებას იძლევა:

1) მიმაგრებულ იქნენ საბჭოთა პარტიულ სკოლებზე პასუხისმგებელი და თეორიული ცოდნით საკმაოდ მომზადებული ამხანაგები, რომლებიც განთავისუფლებული უნდა იქნენ ყოველგვარ სხვა მუშაობისაგან, გარდა ორგანიზაციულ - ადმინისტრატიული მუშაობისა სკოლაში და საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობისა სკოლის გარეთ.

2) საბჭოთა პარტიულ სკოლის ხელმძღვანელობისათვის, განსაკუთრებით სკოლის გამგის თანამდებობაზე გამოყოფილ იქნენ ასეთი ამხანაგები, რომლებიც ითვლებიან კარგ ორგანიზატორებათ, ადმინისტრატორებათ და აღჭურვილი არიან მარქსისტული ცოდნით.

3) საბჭოთა პარტიულ სკოლის მუშაკთა მოხსნა დაკავებულ თანამდებობიდან შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში იმ პირობით, თუ ისინი შეცვლილი იქნებიან სხვა ასეთივე გამოცდილ პირებით.

ს. კ. პ. ცეკას მდივანი: კახიანი.
საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე: კვირიკაძე.

კომკავშირი ყოჩაღათ მუშაობს!

(ფოთის მაზრკომის ივლისის თვის ანგარიშიდან).

მთელი ყურადღება სამაზრო კომიტეტისა მიპყრობილია იმისკენ, რომ კომკავშირის რიგები ძლიერი იყოს, ორგანიზაციული ჩამოყალიბებისა და პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო დონეზე დაყენებით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ამოცანა კომიტეტმა თითქმის შეასრულა. ისე გადის თვეები, რომ არავითარ დისციპლინის დარღვევისა და გაუგებრობის ნიშანიც არა სჩანს. მთელი მუშაობა მიმდინარეობს მწყობრად, სამაზრო კომიტეტის მიერ გამომუშავებული გეგმას მიხედვით. ქალაქის ორგანიზაციამ თავი გამოიჩინა მით, რომ უკვე შესძლო მუშაობის სწორ გზაზე დაყენება; მაგ. შეფობას უწევს სოფლის უჯრედებს (ქალადიდისა) და ბრწყინვალედ ჩაატარა საჰაერო ფლოტის კამპანია.

ქალაქის უჯრედებთან არსებობს დრამატიული და სიმებიანი ორკესტრის წრეები, რომლებშიაც უმრავლესად კომკავშირის წევრები მეცადინეობენ. გაგზავნილ იქნა დელეგატი ოდესაში შავი ზღვის ტრანსპორტზე მომუშავე ახალგაზრდობის კონფერენციაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომკავშირის წარმომადგენელი არის შრომის ბირჟაში, სადაც ხელმძღვანელობს ახალგაზრდა მუშების სამუშაოზე გაგზავნასა და შრომის დაცვას. ივლისის შუა რიცხვებში კავშირში ითვლებოდა 40 უმუშევარი, რომელნიც თითქმის სულყველა გაგზავნილი იქმნა სამუშაოზე, აგრეთვე კომკავშირის წევრების უმრავლესობა ითვლება კოოპერატივის წევრებათ და 7 ამხანაგი კი მუდმივათ მუშაობს კოოპერატივში, სადაც ეცნობიან კოოპერატიულ მუშაობას. ივლისში ორგანიზაციას ესტუმრა კომპარტიის ცეკას ინსტრუქტორი, რომელმაც მთელი რიგი დარიგებები მისცა კომკავშირის მაზრკომს.

რაც შეეხება სოფლის უჯრედებს—მუშაობა არც იქ მინელებულია. ერთიანი კავშირის დღის შემოღებით კავშირის აქტიურ მომუშავეებს დავალება მიეცათ ხელმძღვანელობა გაუწიონ პოლიტწრეების მუშაობას, რაც ეხლა დამკვრელი ამოცანათ არის მიჩნეული. ამასთან თვით სოფლის უჯრედები ხშირად აწყობენ შაბათობას, რომლებითაც ეხმარებიან ქვრივ-ობლებს.

პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის მხრივ აღსანიშნავია მთელი რიგი ისეთი მნიშვნელოვანი კამპანიებისა, როგორიც არის: ტყის დაცვის შესახებ, პლეხანოვის ხუთი წლის თავის აღსანიშნავად მისი მოღვაწეობის განხილვა, პრესის შესახებ და სხვ. ყველა მათგანი ჩატარდა საკმაო წარმატებით: პირველი ორის შესახებ მოწყობილი იქმნა მოხსენებები და ლექციები მხოლოდ პრესის სასარგებლოდ ხუთი წარმოდგენისაგან მიღებული წმინდა შემოსავალი გადაეგზავნა კომკავშირის ცეკას, გამომცემლობის გასაძლიერებლად.

რეგულიარულად მიმდინარეობს მეცადინეობა მარქსისტულ წრეში. ეხლა გადიან პირველყოფილ კულტურას და ეკონომიურ მეცნიერებას ბოგდანოვის წიგნის მიხედვით. სამაზრო პროფ კოლექტივის ხელმძღვანელობით ეწყობა ლექციები რელიგიაზე, საკლუბო მუშაობაზე და სხვა საკითხებზე. ლექციებს ხალხი ბლომათ ესწრება.

ცეკას ცირკულიარის თანახმად, პარტიაში უკვე გადაირიცხა რამდენიმე ამხანაგი.

შ.

მიმართვა

მენშევიკური პარტიის სრულიად საქართველოს ყრილობისა

პატიმარ, გადასახლებულ და იმ მენშევიკებისადმი, რომელნიც კონფერენციის გარეშე დარჩენ.

30 აგვისტოს შესრულდა უდიდესი ისტორიული აქტი; ამ დღეს, მენშევიკური პარტიის წევრთა სრულიად საქართველოს ყრილობამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა საქართველოს მუშათა კლასის გაერთიანებას, რომელიც ამ დრომდე ორ მოპირდაპირე ბანაკათ იყო გათიშული.

ამ ისტორიულ დღეს მან შეადგინა ერთი პროლეტარული ოჯახი და შექმნა მთლიანი რევოლიუციონური ფრონტი, რომლის წინაშეც უძლური იქნება ყოველგვარი კონტრ-რევოლიუციონური ძალა.

მენშევიკური პარტიის წევრთა სრულიად საქართველოს ყრილობამ, რომელიც აერთიანებს 11.235 საუკეთესო, ნამდვილ მუშურ-გლეხურ ელემენტს პარტიისას, ერთხმად უარყო ის თანამედროვე მომენტში მიუღებელი ტაქტიკა, რომელსაც აწარმოებდა მენშევიკური პარტია რუსეთის რევოლიუციაში და რომელსაც დღეს კიდევ აწარმოებს არალეგალური მენშევიკური ცეკა.

ყრილობამ აღიარა ის ბრძოლა, რომელსაც ქართველი ემიგრანტი მენშევიკები და მენშევიკური პარტიის არალეგალური ცეკა ქართველ ფეოდალიზმთან და ბურჟუაზიასთან გაერთიანებული ფრონტით აწარმოებდა საბჭოთა ძალა-უფლების დასამხობათ, რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლათ და მუშათა კლასის დასაღუპველათ. მან გაუქმებულათ გამოაცხადა ყველა მენშევიკური ორგანიზაციები საქართველოში, მოახდინა მათი ლიკვიდაცია.

მთავარი კითხვების გადაწყვეტის დროს ყრილობამ უარყო მენშევიკური ფორმულა „დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისკენო“ და მიიღო პროლეტარიატის დიქტატურა ერთად ერთ ფორმათ იმ გარდამავალ ხანაში, რომელსაც წარმოადგენს კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის ხანა.

დღევანდელი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ხანაში მან მიიღო საბჭოთა პლატფორმა.

ამას შემდეგ ჩვენსა და კომუნისტებს შორის აღარ არსებობს არავითარი იდეოლოგიური და ტაქტიკური განსხვავება; ჩვენს შორის უკვე მოსპობილია ყოველგვარი დავა, რომელიც ერთმანეთისაგან გვყოფდა მთელი ორი ათეული წლის განმავლობაში.

იმ განსაკუთრებულ ისტორიულ ხანაში, როდესაც სწარმოებს საბედისწერო შებმა, გადამწყვეტი ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შორის, როდესაც საერთაშორისო კაპიტალს გააფთრებული იერიშები მიაქვს მუშათა კლასზე და ეს უკანასკნელი დიდი მსხვერპლის გაღებით იგერიებს სისხლიანი კაპიტალის თავდასხმას, ჩვენს გაერთიანებას უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა. აქედან ეყრება მტკიცე საფუძველი საერთაშორისო მუშათა კლასის მთლიანი ფრონტის შექმნას, რომელსაც მეორე ინტერნაციონალი თავისი შეთანხმებლური ტაქტიკით წინ ეღობება, ხელს უშლის და ამით დიდ დანაშაულობას სჩადის მუშათა კლასის წინაშე.

[illegible] ყრილობა მტკიცედ დადგა III კომუნისტური ინტერნაციონალის პოზიციაზე და გადაწყვიტა მისი წითელი დროშის ქვეშ საერთაშორისო მუშათა კლასის საბოლოო განთავისუფლებისათვის ბრძოლა.

ამიტომ ყრილობა მოგიწოდებთ თქვენ, პატიმარ და გადასახლებულ მენშევიკებს, აგრეთვე იმ მენშევიკებს, რომელნიც კონფერენციის გარეშე დარჩით, შემოუერთდეთ მის რევოლიუციონურ გადაწყვეტილებას, დასტოვოთ სამუდამოთ ის, მუშათა კლასისთვის დამღუპველი გზა, რომელსაც აწარმოებდა მენშევიკური პარტია და იბრძოლოთ პროლეტარიატის დიადი საქმისთვის.

წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ მომავალში დაიმსახურებთ ქართველი მშრომელი ხალხის საშინელ რისხვას, როგორც მისი მტრები და შთამომავლობას მოღალატის სახელით გადაეცემით.

ბ-ნ მურმანოვის გამოსვლის შესახებ მენშევიკურ ყრილობაზე

(წერილი რედაქციის მიმართ).

მოქალაქე რედაქტორო, გთხოვთ დაბეჭდოთ ეს განცხადება:

მენშევიკ დავით მურმანოვის მიერ წარმოთქმული სიტყვები სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკების ყრილობაზე არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს მის (მურმანოვის) ამომრჩევლების აზრს და ამიტომ არ არის სავალდებულო ამ უკანასკნელთათვის. მით უმეტეს, რომ გარე-კახეთის ყოფილ მენშევიკების კონფერენციამ (ა. წ. აგვისტოს 12, რომელზედაც, სამწუხაროთ, იქნა ამორჩეული დავით მურმანოვი) მიიღო სრულიად წინააღმდეგი დეკლარაცია, რომელზედაც თვით დავით მურმანოვსაც უწერია ხელი და რაზედაც ჩვენთვის ძალა არავის დაუტანებია. ამიტომ ვწუხვართ, რომ ასეთი ულირსი პიროვნება შემოგვეპარა.

გარე-კახეთის ყოფილ მენშევიკების კონფერენციის მდივანი ვასილ კანჯარაშვილი.

2 სექტ. 1923 წ. ს. გიორგიწმინდა.

P. S. ვთხოვ ეს განცხადება დაამოწმოს ხსენებულ კონფერენციის ყოფილმა თავმჯდომარემ ამხანაგმა ვანო მაისურაძემ (ტურამ *).

ბ. ქ.

ეკონომიური ცხოვრება

(6 სექტემბერი).

ჩერვონცები	46,400
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	45,000
ჩეკები	45,000
დოლარები ეფექტ.	9,900
„ ჩეკები	9,200
ოსმ. ქალ. ლირა	6.500
საბჭ. ფულის ნიშნები	21

ვალიუტის კურსი ბათომში.

(5 სექტემბერს.)

ჩერვონცები	46.000
გირ. სტერლ.	46.000
დოლარები	10.200
ლირა	6.650

ვალიუტის კურსი ბაქოში.

(5 სექტემბერს).

ჩერვონცები	2 300
გირვ. სტერლინ.	2.180
დოლარები	470

ბირჟის მიწოდება.

(6 სექტემბერი).

ფხვნილი შაქარი, ფანჯრის მინები, კაუსტიური სოდა, სახურავის რკინეულობა, ქაღალდი და კარტონები მატყლი, ასანთი რუსეთის.

ვალიუტის კურსი ტფილისში.

ბირჟის მოთხოვნილება

(6 სექტემბერი).

მილები, ასანთი რუსეთის, მაკარონი და ვერმიშელი. ჩაი, ყავა, ხმელი ნარმა, საპონი „ბაბიტი“. ქვა მარილი.

საქონლის ბაზრის განწყობილება

(6 სექტემბერს.)

განწყობილება საერთოდ მოდუნებულია. პურის პროდუქტებისა და შაქრის ბაზარზე განწყობილება მტკიცეა. დანარჩენ ბაზრებზე უცვლელია.

მუშკოოპის ფასები.

(6 სექტემბერი).

პური გირ.—180 და 300, ნატეხი შაქარი—2820, ფხვნილი შაქარი—2165, ძროხის ხორცი—950, ცხვრის ხორცი 1100, კარტოფილი—90, პამიდორი—75. ბრინჯი—610.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(6 სექტემბერი.)

პური 1 ხარ.—400 450, პური 2 ხარ.—200—300. ნატეხი შაქარი—2,900, ფხვნილი შაქარი—2,200, ძროხის ხორცი—1200, ცხვრის ხორცი—1250, კარტოფილი—100-120.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

6 სექტემბერს

მოთხოვნილება ჩერვონცებზე რამოდენიმეთ დაეცა. დაეცა აგრეთვე ჩერვონცებისა და საერთოდ ყველა ვალიუტის კურსი.

რიც არის კალენიკე გოგიბერიძე და არ იქნება დამოუკიდებელი ისეთ პიროვნებათაგან, როგორიც არის დღეს ამ ტრიბუნაზე გამოსული კატაიამა და ყველა ქვეყნების კატაიამები. საქართველოს თავისუფლება ჩვენ, საქართველოს კომუნისტებს ტამბოვის მუჟიკებისთვის კი არ გვინდა, ქართული ენა ჩვენ მიგვაჩნია ბასრ იარაღათ, რომელიც გაუკაფავს გზას საბჭოთა იდეას და კომუნიზმს ქართველ მუშებსა და გლეხთა მასსებში. გარუსების ბეცი პოლიტიკა იმათთვის დაგვითმია სამუდამოთ, ვინც ოცნებობს იმის შესახებ, რომ როგორმე შეუშალოს ხელი საქართველოს მშრომელებს პროლეტარული რევოლიუციასა და კომუნიზმთან ზიარებაში. მე მესმოდა რამოდენიმეთ შიში ეროვნული განადგურებისა 1921 წლის განმავლობაში, როცა, ყოველივე ბობოქრობდა, არც ერთი ნაკადული ცხოვრებისა არ იყო თავის კალაპოტში ჩამდგარი, და ჩვენ არ გვქონდა არც დრო და არც საშუალება, რომ ყოველ დარგში ეროვნული საკითხი მოგვეწესრიგებინა. საქართველოს მენშევიკები, ეს რაც არ უნდა იყოს, სოც დემოკრატიული „მუშათა“ პარტია მხოლოდ და მხოლოდ ამ ეროვნულ მომენტს იყენებდა ჩვენს წინააღმდეგ მას მოპოვებული ჰქონდა ყოველი შესაძლებლობა ჩვენს წინააღმდეგ აემუშავებინა სოციალ-ეკონომიური ხასიათის ბრალდებები და მტკიცებანი: აი ჩვენს დროს ეს საკითხი საუკეთესოდ იყო გადაჭრილიო. ოკუპაცია, ოკუპანტების მთავრობა, საოკუპაციო ჯარი, ჩეკა, გადასახლება—აი ის არსენალი, რომლითაც მენშევიკები ფიქრობდენ საქართველოს მუშების და გლეხების ამოძრავებას ჩვენს წინააღმდეგ. პარტიამ, რომელიც ოდესღაც მაინც იცნობდა მარქსიზმს, უნდა იცოდეს, რომ ეროვნული საკითხი ექვემდებარება და გამომდინარეობს კლასიურ საკითხიდან. ეროვნული საკითხი მჭიდროდ დაკავშირებულია კლასიურ საკითხთან, და ვინც წესიერად სწყვეტს კლასიურ საკითხს, ის ეროვნულ საკითხსაც ასევე წესიერად გადასჭრის. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ეროვნული საკითხი ჩვენი რეჟიმის დროს უფრო მოწესრიგებულია, ვიდრე იყო მაშინ, როდესაც აქ ბრძანდებოდა „ეროვნული“ მთავრობა. ეს იმიტომ, რომ სწორედ ვწყვეტთ სოციალურ საკითხს და ამიტომ უფრო სისწორით, სამართლიანად და მიზანშეწონილად, გზადაგზ, ვწყვეტთ ეროვნულ საკითხსაც. დღეს, როცა ჩვენი საბჭოთა ხელისუფლება გამაგრებულია შედარებით დღეს, როცა ცხოვრების მიმდინარეობა მკვიდრ კალაპოტში სდგას, და ჩვენ შეძლება გვაქვს შედარებით მშვიდობიანი აღმშენებლობისა, დღეს სათანადო ყურადღებას ვაქცევთ იმ საკითხებს, რომელთაც 21 და 22 წლებში, შედარებით, ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით. რეზოლიუციები მე 12 ყრილობისა, რომელიც თქვენ მოგწონთ, ნაყოფი არის ჩვენი მუშაობისა და მათი გამოტანა შესაძლებელი გახდა 23 წელში, რადგანაც წინა წლები მოხმარდა უფრო სამხედრო-სასიცოცხლო საკითხების გადაწყვეტას. ასეც გაგრძელდება ჩვენი მუშაობა ამ მხრივ, და რამდენადაც მოსვენებულ და უზრუნველყოფილნი ვიქნებით, როგორც შიგნით, ისე გარეთ, იმდენათვე მთელი ჩვენი ძალა, დღეს გაათკეცებული თქვენი შემოერთებით და კავშირით, მოხმარდება საქართველოს მშრომელ ხალხის ინტერესებს (ტაში) არა საქართველოს, როგორც ასეთს, არა საქართველოს ფეოდალებისას, საქართველოს მჩაგვრელების, არა საქართველოს შოვინისტებისას, რომელ წრეებიდანაც უნდა იყვნენ ისინი გამოსულნი, არა და არა! საქართველო და მისი დედა-ქალაქი ტფილისი არის ხვედრი იმისი, ვინც შრომობს. რა თქმა უნდა, დაპირება დიდი გეგმებისა ჩვენ არ გვჩვევია. და ნურც დაგვემდურებით, ვართ ღარიბნი, შედარებით, დემოკრატიულ მთავრობასთან. საქართველოში შემოსვლისას ჩვენ სახელმწიფო სალაროში არ დაგვხვედრია არც ერთი გახვრეტილი მენშევიკური შაურიც. ბევრი რამ იყო გაფუჭებული, აოხრებული. მაგრამ რაც ვნახეთ—ყოველ შემთხვევაში შევუნარჩუნეთ მშრომელ ხალხს, არაფერი არ წაგვიხდენია, და შედარებით ბევრათ წინ და მაღლა ავწიეთ. ამის მოწმენი თქვენცა ხართ და სწორეთ იმ გარემოებამ, რომ თქვენ დაინახეთ ეს მე მგონია, მოგიყვანათ თქვენ ჩვენთან. ეს დიდი გამარჯვებაა ჩვენი და მთელი მშრომელი ხალხის, რომლის გული დღეს ორკეც ივსება სიხარულით. ამიერიდან არავითარი სურვილი და ინტერესი არა გვაქვს, უკან დავიხიოთ და მშენებლობა გავანელოთ. მაგრამ შესაძლებელია მშენებლობა მაშინ, თუ ამის მიუცილებელი პირობები არ არის? შესაძლებელია დადებითი მოღვაწეობა, თუ მშვიდობიანობა სავსებით განმტკიცებული არაა? ვინ, რომელი ძალა უზრუნველგვიყოფს დღევანდელ პირობებში ასეთ პირობებს, თუ არა წითელი ჯარი?

ამ მხრივ თუ შევხედავთ საკითხს შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ეს საჭირბოროტო საკითხი, რომელიც ასე ეკალივით ჩასობია ზოგიერთ დელეგატის გონებას, არც ისე ძნელი გასარკვევია. მე უნდა განვაცხადო, რომ ჩვენი რწმენით ამ მუშაობის შესაძლებლობას პირობები გაგვიმტკიცა სწორეთ წითელმა ჯარმა, რომლის როლიც ზოგიერთს დღესაც არ ესმის. მე გახლავართ ერთი იმათთაგანი, ვინც შემოუძღვა ამ წითელ ჯარს საქართველოში. ჩვენ მოგვნათლეს შულავერის ხუმარ ბათ, ოხუნჯმა ჩხეიძემ კი გვიწოდა ლვანკითის მთავრობაო. ამ ლვანკითის მთავრობამ განდევნა კარლო ჩხეიძის შოვინისტური მთავრობა; ეს ძალის, ფიზიკური ძალის საკითხი იყო. მაგრამ იმავე დროს „ხუმრებმა“ შესძლეს 12,000 მენშევიკ მუშისა და გლეხის პოლიტიკური დაპყრობა მე მგონია ასეთი რამის მოსწრე არ ყოფილა და არც იქნება არც ერთი აწინდელი მთავრობა ევროპა-ამერიკისა, მით უფრო, ყოფილი და მოხეტიალე მთავრობები. ასეთი პოლიტიკური გამარჯვების ერთერთ პირობას შეადგენდა სწორეთ ის წითელი ჯარი, რომელმაც თავი გააცნო ქართველ მშრომელთ, როგორც ჯარი რევოლიუციური ჭეშმარიტათ მუშურ-გლეხური. ჩვენ არ მივიტყუეთ თავი და წითელ ჯარს შევხედეთ, როგორც შეფერის პროლეტარულ რევოლიუციონერს. ის ჯარი, რომლის 13 პროც.—20 პროც. შესდგება პარტიულ კომუნისტებისაგან, დანარჩენი კი—პატიოსან მუშებისა და გლეხებისაგან, ისეთი ელემენტებისაგან, რომელიც მამისონის უღელტეხილის გადალახვის შემდეგ, ყურადღებას არ აქცევს შიმშილს, სიშიშვლეს, ყინვას და კითხულობს: „შორს არის აქედან სტამბოლიო?“ — აი ასეთ მეომართაგან შემდგარი ჯარი არ არის საოკუპაციო ჯარი, არამედ არის ჯარი, შემდგარი ჭეშმარიტ და რევოლიუციურ მუშებისა და გლეხებისაგან (ტაში). და როცა ამ ჯარს ხელმძღვანელობს სამხედრო საბჭო ე. ი. „რევ. ვოენ. სოვეტი“ და ორჯონიკიძე ელიავა მიასნიკოვის მეთაურობით, საფრთხე უნდა ელოდეს მშრომელთა კლასობრივ და ეროვნულ უფლებებს, თუ პირიქით—ცნობა, პატივით მოპყრობა, განმტკიცება და განხორციელება?!.

ტფილისის საქალაქო კონფერენციაზე ამხ. ორჯონიკიძემ ინატრა: ნეტავ შეძლება მოგვეცეს და ასეთი ჯარით შევგლიჯინდეთ რამდენიმე სახელმწიფოს სატახტო ქალაქში, იქ, სადაც მუშათა კლასი ხელფეხ შეკრულია ეს რამდენათაც ვამჩნევ თქვენი სურვილიცაა (ტაში). განა ცხადი არაა, რომ დღევანდელ გერმანიის ვითარებაში ერთი დივიზია წითელი ჯარისა მეტს ნიშნავს, ვიდრე შეიდემანის პარლამენტარული გამარჯვებები და მისი მილიონიანი პარტია? თუ ასე დავსვამთ საკითხს, ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ არც წინეთ გვქონდა საბუთი იმის მოსანანებლათ, რომ დავიხმარიეთ წითელი ჯარი და გავსრისეთ ის ძალა, რომელმაც სოციალ-დემოკრატიის უბრალო დემოკრატიული ნამუსი მიჰყიდა პუანკარესა და კერზონს. როცა შეიქნება პირობები, რომ ჩვენ არ ვიქნებით იმპერიალისტურ ზღვით გარშემორტყმული და საერთაშორისო ასპარეზზე ვიქნებით იმდენათ ძლიერი ან ნეიტრალური, რომ არც ერთი იმპერიალისტური ძალა არ წამოიწევს ჩვენსკენ, მაშინ წით. ჯარის აქ ყოფნა უადგილო იქნება, მაშინ ჩვენ გავალთ ტერიტორიალურ ადგილობრივ მილიციაზე. დღეს კი ჩვენ არ ვივიწყებთ ერთ ფიზიკურ კანონს: „Природа не знает пустоты“. ამის თანახმად შეგვიძლია საქართველოს შესახებ ვსთქვათ: „Грузия не останется пустой после вывода Красной Армии“. რას ნიშნავს ეს? როგორც კი გავა წითელი ჯარი, მის ადგილს ბუნებრივად დაიჭერს მეორე ძალა. რომელი ძალა? ეს თქვენ კარგათ იცით. ეს რწმენა, ეს შეხედულება, ყოველ კომუნისტს გულის ფიცარზე აქვს აღბეჭდილი. ამიტომ ჩვენ ვამბობთ: როდესაც შეიქნება ისეთი მდგომარეობა, რომ ჩვენ და ჩვენი დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი იქნება გარეშე მტრისაგან, მაშინ წითელი ჯარის არსებობა უაზრო იქნება და ჩვენ მას ამხანაგურათ, მხურვალე მადლობის გრძნობით გავისტუმრებთ შინ. მანამ კი არავის არ მივცემთ უფლებას, რომ ჩვენ ისე გაგვაბრიყვოს, რომ წითელი ჯარის გაყვანის საკითხი ჩამოვაგდოთ. არა და არა! ვინაიდგან ეს ჯარი—და თქვენ დაადასტურეთ ეს,—არ არის ჯარი დამპყრობელი, არამედ განმანთავისუფლებელი, აი ასეთი დადგენილების შემდეგ, იმათ, ვისაც ამ ჯარის აქ ყოფნა მიაჩნია შებღალვათ საქართველოს დამოუკიდებლობისა, ხალხის სუვერენიტეტისა, იცოდენ, რომ ისინი ხელს უწყობენ პროლეტარიატის ხელისუფლების დამხობას. ერთი საკითხი კიდევ ამხანაგებო,—დღეს, თქვენ აქ შეკრებილხართ, რათა ერთი ისტორიული ფურცელი გადაშალოთ, რათა სულ ახალი გეზი აიღოთ, ახალი გზა აირჩიოთ, ანალიზი გაუკეთოთ არსებულ მდგომარეობას და გახდეთ მონაწილე იმ ბრწყინვალე მომავლისა, რომელიც მოელის საბჭოთა საქართველოს. რასაკვირველია, აქ საკითხი ისმება; თქვენ გადადგით ის გაბედული, ნამდვილი რევოლიუციონური ნაბიჯი, რომელიც გაყენებსთ ახალი ამოცანის წინაშე:—შემდეგ რა? კარგი, დღეს დაიშალა კონფერენცია, გამოქვეყნდა თქვენი რეზოლიუციები. შემდეგ რა? ეს სრულიად კანონიერი კითხვაა. ამიტომ მე ჩვენი ცენტრალური კომიტეტის სახელით, სრულიად ოფიციალურად ვაცხადებ, რომ ეს საკითხი არ არის მარტო თქვენი საკითხი. ჩვენც გვაინტერესებს იგი, ჩვენც გვქონოდა მსჯელობა მასზე, შემდეგშიაც ვიქონიებთ. ალბად თქვენც გეცოდინებათ, რომ ჩვენ ცოტა ძუნწი ხალხი ვართ პარტიის კარების გაღებაში. ჩვენ გამოცდილებით შეჩვეული ვართ, რომ კომუნისტური პარტია, რომელიც არის მუშათა და გლეხთა ინტერესების დამცველი, უნდა იყოს ნამდვილი ავანგარდი და ნამდვილი შტაბი რევოლიუციისა, ის უნდა იყოს უზრუნველყოფილი იმ გამხრწნელ ელემენტებისაგან, რომელთაც შეუძლიათ მთავარი შტაბი, ავანგარდი ბრძოლისა დაშალონ, და მოუსპონ უნარი ხელმძღვანელობისა, უნარი წინ მჭვრეტელობისა, გამარჯვების მოპოებისა. ჩვენ რამდენჯერმე გვქონდა პარტიის გაწმენდა. ის ამხანაგები, რომელნიც რამეში იყვნენ შემჩნეულნი და თავისი მოქმედებით ჩირქს სცხებდენ პარტიას, იქმნენ პარტიის გარეშე დატოვებულნი. იყო ხელმეორედ გაწმენდა და ამიტომ, ჩვენი პარტიის წევრთა რიცხვი შედარებით იმ რიცხვთან, რომელსაც იხსენიებდა სოციალ დემოკრატიული პარტია, მცირეა. რომ ჩვენ თავისუფლათ გაგველო პარტიის კარი, მაშინ ჩვენი პარტიის წევრთა რიცხვი ერთი სამათ და ხუთად გამრავლდებოდა. მაგრამ ამას განგებ არ ჩავდივართ. ამიტომ იმის დაპირება, რომ 12,000 წევრს ყოფილი მენშევიკებისას, რომელთა წარმომადგენლები თქვენ ხართ, პარტიის კარებს გაუღებთ და შემოუშვებთ პარტიაში, ამას ნუ მოგვთხოვს ნურავინ, ვინაიდან ეს შეუძლებელია. მაგრამ ჩვენ სიტყვას გაძლევთ, რომ ყოველ კერძო შემთხვევაში ავწონით ამა თუ იმ ამხანაგის ღირსება-ნაკლულევანებას, და საერთო წესით მივიღებთ პარტიაში და არა ყველას, ვინც მოაკაკუნებს პარტიის კარებს. პარტიაში მიღებული იქნება ის ელემენტები, რომელსაც დღეს ჩაიტევს ჩვენი პარტიის ჩარჩოები. მაგრამ იმ ამხანაგებისათვისაც კი, რომელთაც ჩამოვართვით პარტიული მანდატები, ჩვენ ხელი არ გვიკრავს. ჩვენ გაფაციცებით თვალს ვადევნებთ და „ვყარაულობთ“ ავანგარდს, რომ არ ის დაჭიანებული, რომ არ მივიდეს გახრწნამდე და როცა საჭირო იქნება ნების ყოფისა და ნერვების დაჭიმვა, ბრძოლა შეუპოვარი, ამ ავანგარდმა იბრძოლოს იმისათვის, რომ შექმნას საუკეთესო პირობები მუშათა და გლეხთა საბოლოოთ განსათავისუფლებლათ. მისი განთავისუფლებისა და დიქტატურის ისტორიულად ნაპოვნი ფორმა კი არის საბჭოთა ხელისუფლება. პროლეტარული სახელმწიფოს ფორმა—პროლეტარიატის დიქტატურაა, საბჭოთა სახელმწიფო დიდი სარბიელია, სადაც ყოველ რევოლიუციონერს, ყოველ მებრძოლს, პატიოსან მოქალაქეს შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ. პარტია თვითმიზანი კი არ არის, მხოლოდ ინსტრუმენტია, იარაღი მუშების და გლეხების ხელისუფლების განმტკიცებისა და შემდეგ კომუნიზმის დამყარებისა. და აი, ამხანაგებო, ეს სარბიელი, ეს საბჭოთა აპარატი იქნება ის ასპარეზი, რომელზედაც თქვენ, მრავალწლოვანი რევოლიუციონერები, დიდი კულტურული ძალღონის მატარებელნი, თქვენ გაშლით შემოქმედების ფრთებს და ჩვენთან ერთად აგურს აგურზე დაუმატებს იმ დიდს საბჭოთა შენობას, რომელსაც ვაშენებთ და თქვენთან ერთად დავამთავრებთ. აი ის განცხადება, რომელიც მე დავალებული მქონდა გამეკეთებია აქ, თქვენს ყრილობაზე.

ამასთანავე მე გპირდებით მტკიცედ, რომ ვერც ერთი პარტიის წევრი, ჩვენი ცნობილი მსუსხავი პარტიული დისციპლინის მცნობი, ვერ გაბედავს და არც მოისურვებს ძველი დავის ჩრდილის გამოწვევას და რომელიმე თქვენთაგანის მიმართ ასეთი გამოთქმების ხმარებას: აი შენ მენშევიკო, აი შენ კონტრ რევოლიუციონერო (ტაში)

ამხანაგებო! ეს ძველი ფურცელი უკვე გადაშლილია. ეხლა იშლება ახალი ფურცელი საქართველოს სინამდვილეში, მე მგონია, როცა საქართველოს მუშათა კლასი და რევოლიუციური გლეხები გაიგებენ დღევანდელ ამბავს, რომ დავა აღარ არის ბოლშევიკ-მენშევიკებს შორის, ისინი, მიუხედავათ იმისა, რომ არ სწამთ რელიგიური აღდგომა,—ისინი იტყვიან, რომ საქართველო დღეს აღსდგაო. რადგან აღსდგა ერთობა მუშათა კლასის, რომელიც ერთად ერთი გეგემონია და მებრძოლი რევოლიუციისა და კომუნიზმისათვის. და ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველი ზომა, რომ ის დღესასწაული, რომელიც არის ჩვენ შორის, და რომელიც გამოწვეულია საქართველოს მშრომელი ოჯახის გაერთიანებით, რომ ეს დღესასწაული არ დაჩრდილოს რაიმე უნდობლობამ, რაიმე გაუგებრობამ (ტაში). დღეს კომუნიზმი, ქართველი კომუნიზმი, თავის ბანაკში ღებულობს მათ, ვისი ადგილიც რამდენიმე წლით ცარიელი იყო. ეს ადგილი თქვენია, უდავოა, და წყეული და გათიშული იყოს პროლეტარულ ოჯახიდან ის, ვინც მოინდომებს ჩვენს გათიშვას, ვინც უმთავრეს მიზნათ არ დაისახავს რევოლიუციური ერთობის კიდევ უფრო გამტკიცებას.

გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებელს რევოლიუციონურ ბრძოლაში!

გაუმარჯოს მის მტკიცე კავშირს იმ ძალებთან, რომლებსაც დღეს მიაქვთ წითელი დროშა გამარჯვებისაკენ! გაგიმარჯოთ თქვენ, და თქვენთან ერთად ჩვენც, რომელნიც ძმურად გიწვდით ხელს! გაუმარჯოს შეერთებულ ბრძოლას საერთო მტრის, მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ (ტაში. ინტერნაციონალი).

---

*) ეს გარემოება ხაზგასმით იქნა აღნიშნული ყრილობაზევე მთელ რიგ დელეგატების და კერძოთ ამხ. ტურას მიერ უშუალოთ ბ-ნ მურმანოვის გამოსვლის შემდეგ.

რედ.

მუშათა ცხოვრება

დასასვენებელ სახლებში მყოფ მუშა-მოსამსახურეების დეპეშა საქართველოს მთავრობას.

ბორჯომ-წაღვერის დასასვენებელ სახლებში მყოფ მუშა-მოსამსახურეების საერთო კრება მხურვალე სალამს უგზავნის საქართველოს მთავრობას და პროფკავშირთა საბჭოს და იმედი აქვს, რომ ისინი კიდევ უფრო გააუმჯობესებენ მუშათა კლასის ყოფა-ცხოვრებას.

გაუმარჯოს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას.

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს.

მუშა-მოსამსახურეთა მინდობილობით, კრების მდივანი **გოგი ვახაძე**.

დაუშვებელი მოვლენა

(სახ. განათლების კომისარიატის და შრომის ორგანოების საყურადღებოდ)

პირდაპირ აღმაშფოთებელია ის ნივთიერი მდგომარეობა, რომელშიაც ჩაყენებული არიან ტფილისის ობსერვატორიის მუშა-მოსამსახურეები, რომელთაც მეტად საპასუხისმგებლო და მოვალეობა აქვთ დაკისრებული. და დაწესებულებას „ინახავს" სახ. განათლების კომისარიატი, რომლის უყურადღებობა მომუშავეებისადმი საარაკოა.

დაუშვებელია,—დღევანდელ ბაზრის პირობებში, როცა გირვანქა პურის ფასი ნახევარ მილიონ მანეთს აღწევს, მუშას ეძლეოდეს ოცდა შვიდი მილიონი მანეთი თვიურად და ამის მიღებასაც დანიშნულ დროზე ორი-სამი კვირით აგვიანდებოდეს რატომ არ ითვალისწინებენ ობსერვატორიის ჭირისუფლები მუშების მდგომარეობას, როცა ასეთ მინიმუმით საზღვრავენ მუშების ხელფასს? ეს პირდაპირ გაუგებარია. განა ისინი ვალდებული არ არიან ანგარიში გაუწიონ მუშათა კანონმდებლობას, რათა მათ უწყებაში ადგილი არ ჰქონდეს ასეთ აღმაშფოთებელ მოვლენას.

ობსერვატორიაში მოსამსახურეთა მიმართ დაცული არ არის შრომის კომისარიატის და ს. პ. კ. ს. მიერ დაწესებული ხელფასის მინიმუმი. კოლლექტიური ხელშეკრულება თუმც დადებულია ამხ. მუშებთან, მაგრამ მისი შესრულების მოთხოვნა მუშებს დანაშაულობათ ეთვლებათ.

სახელმწიფო დაწესებულების ასეთი დამოკიდებულება მუშებისადმი რესპუბლიკის ცენტრში ყოვლად დაუშვებელია.

ვსწერთ რა ამას, ჩვენ მოვითხოვთ შრომის დაცვის ორგანოებისგან გამოარკვიონ საქმის ვითარება და ამ დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა ნორმალურ კალაპოტში ჩააყენონ.

მუშკორი მეთვალყურე.

წმენდა თვითმშრომელთა კავშირში

სახელი კავშირის თვითონ გამომხატველია იმისა, რომ ამ კავშირში, მხოლოდ თვითმშრომელებს ექნეს ადგილი ე. ი. ისეთ ხალხს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ თავისი შრომით სცხოვრობს და დაქირავებული შრომით არ სარგებლობს.

ეს კავშირი აერთიანებს რამოდენიმე ათეულ მუშა ხელოსნებს. ამ კავშირში შედის ტფილისის ყველა ხელოსნებიც. ცხადია პროფ. კავშირებს დიდი მნიშვნელობა აქვს დღევანდელ ხანაში და ამიტომ აქ დაირაზმა მთელი ტფილისის მუშა ხელოსანი, რათა გაადვილებოდათ მათ ბრძოლა თავის ინტერესების დასაცავად. მაგრამ გაიგეს რა, მოლასი არ იყოს, „ფულავი რიგდებაო", ხარბ ხელოსნებმა და სპეკულიანტებმაც შემოყვეს თავი კავშირში, რათა ესარგებლებინათ იმ შეღავათებით, რომლითაც სარგებლობს თვითეული კავშირის წევრი, როგორიცაა ბინის ქირა, სადარაბო გადასახადი და სხვა ასეთები., მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება რამდენად მოყვარეთან ლმობიერია, იმდენად მტერთან მკაცრი და მართლმსაჯულია და ამიტომ იმ მიზნით, რომ დაეცოცხა კავშირიდან ასეთი „წევრები", როგორიც არიან ვაჭარ-სპეკულიანტები და მავნე ელემენტები, შეადგინა ცენტრალური გამწმენდი კომისია ამხ. შავიშვილის თავმჯდომარეობით, რომელიც 8 აგვისტოდან შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. წმენდა თუმცა ჯერაც არ დამთავრებულა, მაგრამ დღესაც დიდი რამ გაკეთდა ამ მხრივ; ბევრი სპეკულიანტები გამოიცოცხა კავშირიდან. კავშირში რჩება ღარიბი ხელოსანი. ზოგიერთს მათგანს პერანგიც არ აცვია. საეჭვო პირებს კომისია კავშირის წევრთა დახმარებით აძევებს კავშირიდან უსურვებთ გამწმენდ კომისიას ნაყოფიერ მუშაობას, რათა კავშირში არ ჰქონდეს ადგილი არც ერთს ჩარჩ ვაჭარს და სპეკულიანტ ექსპლოატატორს.

მუშკორი კარო.

ელექტრო-მომწესრიგებელი სახელოსნო

ეს სახელოსნო ძალიან დიდ საქმეს აკეთებს. აქ ხდება შეკეთება თითქმის ტფილისის ყველა ელექტრო-სადგურების მანქანების დაზიანებული ნაწილების. ეს სახელოსნო აწესრიგებს და ამრთელებს მოშლილ საწარმოვო აპარატებს და მით ხელს უწყობს ელექტრონის განათებით წარმოების საქმეს. ამჟამად მიდის ამ სახელოსნოს შეკეთება, თვით შენობის გადიდება და გაფართოება.

ასეთივე სრული შეკეთება მიდის ეხლახან ამ სახელოსნოსთან არსებულ ელექტრონის სადგურისა.

როგორც ვსთქვით, ტფილისის ელექტრო-სადგურების წარმოების ბედი დაკავშირებულია ამ სახელოსნოსთან. როგორია ამ მხრივ მისი მდგომარეობა? მართალია, სახელოსნოს აკლია ფართე ხელსაწყო იარაღები, რომ უფრო ფართედ იყოს მისი მუშაობა წარმოებული, მაგრამ, რამდენიც დრო გადის, სახელოსნოს მეტი გაუმჯობესება ეტყობა. მხოლოდ, მთავარი და ერთი შემაფერხებელი დაბრკოლება ის არის, რომ სახელოსნოს აკლია სპეციალისტები. თუმცა კარგა ხანია, რაც სახელოსნოს ხელმძღვანელები ცდილობენ სახელოსნოსათვის მოიწვიონ ძველი კვალიფიკაციის მუშები, მაგრამ უშედეგოდ.

მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ აქაურ მუშებს შედარებით ნაკლები ხელფასი აქვთ და სწორედ ამ მცირე ხელფასის გამო გაურბიან მუშები ამ სახელოსნოში მუშაობას. ამიტომ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, ამ წარმოებაში ხელფასი უნდა იქნას გადიდებული და კვალიფიციური მუშები მოწვეული, რაც ხელს შეუწყობს ამ დიდად მნიშვნელოვან დაწესებულების წარმატება-აყვავების საქმეს.

მუშკორი ჩხმელი.

ჩვენი შეფები აძლიერებენ თავის მუშაობას

მეორე რაიონის რკინისგზის დაცვის საშეფო კომისია და დრამატიული წრე 19 აგვისტოს გაემგზავრა სოფ. დუესში შეფობის დღის აღსანიშნავად სალამოს გასამართად.

ტფილისის სადგურზე დილის 6 საათიდან იყრიან თავს ამხანაგები. ვაგონში გვემატებიან სამმართველოს კომიაჩეიკის საშეფო კომისია ამხ. კარჩატინის ხელმძღვანელობით, რომლებიც მიემგზავრებიან სოფელ ძეგვში.

სრულ 7 საათზე მატარებელი დაიძრა. ორკესტრი ასრულებს მარშს რკინიგზის ხაზზე.

სადგურზე ხალხი ბლომად თავს იყრის და კითხულობს ვაგონზედ მიკრულ პლაკატებს, რომელზედაც სწერია: „საშეფო კომისია და დრამატიული წრე სოფ. დუესში შეფობის დღის აღსანიშნავად"!

სრულ 12 საათზე სადგურ გრაკალზე ჩამოდის ჯგუფი ვაგონიდან. ცოტა ხნის შემდეგ მიემგზავრება სოფ. დუესში, რომელიც დაშორებულია სადგურიდან სამი ვერსის მანძილზე.

სადგურიდან სოფლამდე.

მუშათა ჯგუფი მწყობრად გაემართა სოფლისაკე მუსიკით, როდესაც მიუახლოვდნენ სოფელს, მთელი ხალხი ალტაცებით შემოეგება ამ უცხო სტუმრებს. აღსანიშნავია მოხუცი დედაკაცის სიტყვები, რომელიც სიხარულით გაიძახოდა: „ეხლა კი აღარ მოვკვდები, რადგან ესეთ დროს მოვესწარიო, რომ ჩვენ სოფელში მუსიკა მოვისმინეო".

სოფელში.

სოფელში მუშათა ჯგუფი დაბინავდა ყოფ. მემამულე რეზო ერისთავის ეზოში, სადაც იყო შესანიშნავად მორთული, წარმოდგენისათვის გაკეთებული სცენა. დღის სრულ 2 საათზე იმართება სადილი, სადილის შემდეგ გაიმართა ახალგაზრდა ქალ ვაჟთა ცეკვა-თამაში. შემდეგ იხსნება მიტინგი თემის და სოფელ დუესის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მამასახლისოვის მიერ, რომელმაც გააცნო მიტინგს ჩვენი მოსვლის მიზანი. შემდეგ საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენებლად გამოდის ამხ. გარდულაძე.

მიწის საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს გაზეთ „რკინისგზელი"-ს რედაქტორი ამხ. პეტრე ქუთათელაძე. იგონებს ნიკოლოზის ძველ დროს და იმას, თუ როგორ ჩამოერთვათ მემამულეებს მიწები და როგორ გადაეცათ იგი გლეხებს.

შეფობის მნიშვნელობის შესახებ მოხსენებას აკეთებს საშეფო კომისიის თავმჯდომარე ამიერ-კავკასიის რკინისგზის დაცვის უფროსი ამხ ვასო კოჰლაშვილი, რომელიც ეხება მუშების და გლეხების დაახლოვება-დაკავშირებას.

მიტინგის ბოლოს წარმოდგენილ იქნა 3 მოქმედებიანი კომედია „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", რომელმაც მწყობრათ ჩაიარა.

ბოლოს გაიმართა დივერტისმენტი. საღამო გათავდა ღამის 1 საათზე. მუშები და გლეხები დიდად ნასიამოვნები გამოემშვიდობნენ ერთმანეთს და თავიანთ ბინებისაკენ დაიშალნენ.

მუშკორი კინო.

ქართული წარმოდგენების საკითხი მუშათა ცენტრალურ კლუბში.

ახლოვდება სეზონის გახსნა ყველა თეატრებში და ყველგან იწყება მუშაობა გაორკეცებული ენერგიით; ყალიბდება დასის შემადგენლობა, რეპერტუარის დამუშავება, წინასწარი მუშაობა, რეპეტიციები და სხ. მრავალი საქმე თეატრალურ სფეროში.

ყველაფერი ეს მუშათა ცენტრალ. კლუბისათვის უცნობია. მე-2 რაიონში, მუშათა ცენტრალური კლუბი არის ერთად ერთი პროფესიონალურ-კულტურული დაწესებულება, სადაც ამავე რაიონის მუშებს შეძლება აქვთ დაიკმაყოფილონ თავისი კულტურული მოთხოვნილებები ფართე მასშტაბით. კლუბმა ამ შემთხვევაში სავსებით განახორციელა მუშების მოთხოვნილება, ზაფხულის განმავლობაში. აქ იმ დროს იმართებოდა სიმფონიური კონცერტები, ჩვეულებრივი კონცერტები, სახელ. ოპერის მსახიობთა მიერ იდგმებოდა ოპერები, რუსული და უკრაინული პიესები, იმართებოდა ლექციები, მოხსენებები და სხ. მრავალი კულტურული გასართობები მხოლოდ და მხოლოდ კლუბში ვერ მოეწყო მაშინაც ქართული წარმოდგენებ, იმ დროს, როდესაც ამ რაიონში თავს იყრიან უმთავრესად ქართველი მუშები მუშების სურვილია მუშათა ცენტრალ. კლუბში ქართული წარმოდგენები აყვავდეს, საჭიროა ზამთრისათვის მოწვეულ იქნენ ქართველი მსახიობები, რათა კლუბში ჩაეყაროს საძირკველი ქართულ წარმოდგენებსაც. პროფკავშირთა საბჭოს მოვალეობაა ამ საკითხის მოგვარება-მოწესრიგება, რათა სერიოზული და მხატვრული დადგმით შეაყვარონ მუშებს ქართული წარმოდგენები.

მუშკორი ეკალი.

ქრონიკა

— **შრომის ბირჟა.** 5 სექტემბრის აღრიცხვაზე გამოცხადდა 540 უმუშევარი. ახლად ჩაეწერა 5. სამუშაოზე გაიგზავნა 95.

— **ახალგაზრდა უმუშევრების სამუშაოზე გაგზავნა.** შრომის ბირჟასთან არსებულ ახალგაზრდა უმუშევართა სექციის შუამდგომლობის თანახმად, შრომის ბირჟის კომიტეტმა დაადგინა ახალგაზრდა უმუშევრები სამუშაოზე გაგზავნონ პირველ რიგში თავიანთ წლოვანების მიხედვით.

— **კვირეული წარმოება დაწესებულებების დასათვალიერებლათ** უახლოეს ხანში დაიწყება წარმოება-დაწესებულებების დათვალიერება, რომლის მიზანია გამოარკვიოს მუშა მოსამსახურეების სისწორით მიღება დათხოვნის საკითხი. კვირეულის ჩასატარებლოთ ტფილისი გაყოფილია 10 რაიონად.

ტფ. მაზრის დამზღვევ პუნქტების არჩევნები. დაზღვევ კასამ გადასწყვიტა მოაწყოს ტფილისის მაზრებში საგარეჯოს და კოჯორში დამზღვევ პუნქტების ხელახალი არჩევნები.

— **ქართული ენის კურსები.** დამზღვევ კასამ დაადგინა თავის კულტფონდიდან გადასდოს საჭირო თანხა ქართული ენის კურსების მოსაწყობათ კასის მუშა-მოსამსახურეთათვის

— **ქალის დაჭრა.** 4 სექტემბერს, მე-4-ე სამილიციო ნაწილში, მუხრანის და ბარიატინის ქ კუთხეში რუბენ მოსესოვმა სასიკვდილოთ დასჭრა ლიდა შატიკოვის. ბოროტ-გამზრახველი შეიპყრეს.

— **დაზღვეულების შესახებ.** შრომის კომისარიატი იმუშავებს წესს დაზღვეულების სახელმძღვანელოთ, თუ დაზღვეულმა სად უნდა მიმართოს, როცა ის უკმაყოფილოა ადგილობრივი დამზღვევი კასის კომიტეტის პენსიისა და დახმარების განსაზღვრით.

— **დადგენილებების და შრომის კანონების კოდიფიკაცია.** დაევალა შრ. კომისარიატის იურისკონსულტს საქ. პროფკავშირის საბჭოს იურიდიულ ბიუროსთან ერთად მოახდინოს კოდიფიკაცია შრომის დარგში ყველა და ყოვლგვარი გამოცემულ დებულებებისა და კანონების.

— **წითელ-არმიელები და კოოპერაცია** რკინისგზის კოოპერატიულმა მომხმარებელმა საზოგადოებამ (ზაკტპო), დაადგინა № დივიზიის წითელ-არმიელებს მიეცეთ უფლება ისარგებლონ კოოპერატივიდან როგორც სრულუფლებიანმა წევრებმა.

— **ხელოვნურ წყლების ქარხნის ჩამორთმევა.** სრ. საქ. ცენტრ. კომ. პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა შინაგან საქ. სახ. კომისარიატის შუამდგომლობა, რათა მოქ. პ. ჩხენკელს ჩამოერთვას ხელოვნურ წყლების ქარხანა და საწყობი და გამოცხადდეს სახელმწიფო კუთვნილებათ.

— **სენაკის მაზრის აღმასკომის ხარჯთ-აღრიცხვა.** სრ. საქ. ცენტრ. აღმ. კომ. პრეზიდიუმმა ა.-კ ფინანსთა სახ. კომისარიატს გადასცა სენაკის მაზრის აღმასკომის ხარჯთ აღრიცხვა განსახილველად და დასამტკიცებლად.

— **შრომის ბაზრის მოწესრიგება.** შრომის კომისარიატის დადგენილებით შრომის ბაზრის მოწესრიგების მიზნით განზრახულია საქ. პროფსაბჭოსთან ერთად გატარდეს მუშა-მოსამსახურეთა თავისუფალი დაქირავების საწინააღმდეგო ბრძოლის კვირეული.

— **ცემენტის ქარხანა სოფ. კავთისხევში.** ამხ. თედო ღლონტის მოხსენების თანახმად, აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა სოფ. კავთისხევში გაიხსნას ცემენტის ქარხანა, აღნიშნულ მიზნით შემუშავებული პროექტი დაურიგდეს გასაცნობათ პრეზიდიუმის ყველა წევრს, გაფართოებულ სხდომაზე მისი საბოლოოდ გადასაწყვეტად.

— **სარდაფების დაცვა წყალდიდობისაგან.** ქალ. აღმასკომის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა კომუნალურ განყოფილებას გამოარკვიოს თუ, რა წესით შეიძლება გაიწმინდოს წყლით სავსე სარდაფები და მისი დაცვა მომავალ წყალდიდობისაგან.

— **ტფ. მაზრების მდგომარეობის გამორკვევა.** ტფ. მაზრის მდგომარეობის ყოველ მხრივ გამოსარკვევათ ქალ. აღმასკომის მიერ შედგენილ იქნა კომისია: ჯანმრთელობის, კომუნალურ მეურნეობის კვების მომწყობ სექციის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლების თან დასწრებით.

— **დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლო.** სრ. საქ ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით, დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს წევრებათ დაინიშნენ: ამხ. მიხ. ს ჭეჭავაძე, ო. გგიური, თ. სარაბაძე, მ. შარაშიძე, ნოე. ხარაძე, დ. დგებუაძე, ი. მასხულია, ა. ნაკაიძე, ი. დოხნაძე, შ. ლომთათიძე, ე როდონაია, ა. ფილიანი, თ. ზოცვაძე და ა. იაშვილი.

— **იუსტიციის კომისარიატის შტატი,** საქ. ცენტრ. აღმ. კომ. პრეზიდიუმმა მიიღო იუსტიციის სახალხო კომისარიატის შტატი დასამტკიცებლათ.

— **სეიფულა იოსელიანის ფერეიდანში დაბრუნება.** სრ. საქ. ცენტრ. აღმ. კომ. პრეზიდიუმმა გადასწყვიტა სპარსეთში მცხოვრებ ქართველების წარმომადგენელი სეიფულა იოსელიანი ფერეიდანში გააგზავნოს თავის ხარჯით.

— **დოღი.** 9 სექტემბერს გაიხსნება საშემოდგომო სეზონი ცხენთა ვარჯიშობის. დოღში მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ჯიშის ცხენები.

პროვინციაში

წყნეთის აღმასკომის შესახებ

პასუხად გაზეთ „კომუნისტი"-ს მე-175 №-ში მოთავსებულ წერილისა სათაურით „წყნეთი" გატყობინებთ, რომ, როგორც ქალ. ტფილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ადმინისტრატიულმა ნაწილმა გამოძიების შემდეგ გვაცნობა, აღნიშნულ წერილში წამოყენებული ბრალდება არ შეეხება ზუკაკიშვილს, რომელიც მხოლოდ ა. წ 26 ივლისიდან ყოფილა დანიშნული წყნეთის აღმასკომის თავმჯდომარის თანამდებობაზე, არამედ ყოფილ თავმჯდომარე ბაკურაძეს, რომელიც მართლა სისტემატიურად ქეიფის და ლოთობის მიზეზით მოხსნილ იქნა თანამდებობიდან.

ინფორმატორი **დ. ვარდოსანიძე.**

მარტყოფი

სოფელი მარტყოფი ტფილისიდან 30 ვერსის მანძილზეა. გზის ნაწილი კახეთის შოსეთია გასწვრული, შემდეგ გზა უხვევს და მოუკენჭავი გზა მიდის მინდვრით. გზა ყოვლად უვარგისია, და არა მხოლოდ მარტყოფის გზა, რომელსაც კაცის ხელი სრულიად არ გაჰკარებია, არამედ საკმაოდ ცნობილი კახეთის შოსეც სრულიად მივიწყებულ მდგომარეობაშია.

სოფელი მარტყოფი ადმინისტრატიული ცენტრია მთელი მარტყოფის თემსა. მარტყოფის თემი შეიცავს 2580 კომლს, თავად სოფელი მარტყოფი—1200 კომლს.

იშვიათია ისეთი თემი, რომელიც იმდენად კმაყოფილი იყოს თავისი ადმინისტრაციით, როგორც მარტყოფის თემი. ყოველი სოფელი აღტაცებაშია ადგილობრივი აღმასკომის ბეჯითი მუშაობით.

სოფელს აქვს სკოლა, სამკითხველო, თეატრი, კოოპერატივი (მთლიან მუშათა კოოპერატივის განყოფილება), აფთიაქი და ჰყავს ექიმი.

სოფელში არის კომუჯრედი 25 წევრით, და ახალგაზრდათა კომკავშირის უჯრედი 15 წევრით

მარტყოფის თემი ნიადაგის უნაყოფობის გამო მოუსავლიანი ადგილია ადგილობრივ მცხოვრებთა შემოსავლის წყაროს შეადგენს მესაქონლეობა და ტყე, რომელიც სოფლიდან 2 ვერსით არის დაშორებული. მაშასადამე, მარტყოფის სიმდიდრეს წარმოადგენს ყველი, მატყლი, ნახშირი და შეშა. მატყლის განაღდება არის საზოგადოება „მწყემსის" ხელში, დანარჩენი საქონელი კერძო ბაზარს ეძებს. საჭიროა მივაქციოთ მთლიან მუშათა კოოპერატივს ყურადღება: რათა სოფლის ნაწარმოები კერძო ვაჭრის ხელში სპეკულიაციის საგნად არ იქცეს, რათა სოფელი სისტემატიურად არ ტყუილდებოდეს კერძო ჩარჩის მიერ, რათა გლეხი 24 საათს არ ჰკარგავდეს, მაგ. ორი ტომარა ნახშირის ქალაქში ჩამოტანისათვის და მთელი თემი—აუარება დროს, რომლის გამოყენება საგრძნობლად ასწევს მეურნეობას; საჭიროა, რომ კოოპერატივი შეიჭრას სოფლის მეურნეობაში და მოიპოოს მასში ფართე ნდობა. საჭიროა, რომ, როგორც ყველი, ისე შეშა, ნახშირი და მატყლიც კოოპერატივმა შეიძინოს. ამ ამოცანას აადვილებს ის, რომ მარტყოფი არც იმდენად დაშორებულია ქალაქიდან აღ თემში კოოპერატივს აქვს განყოფილება, სადაც სოფელი გაუტანჯველად და გულდამშვიდებით მიიტანს თავის ნაწარმოებს და მიიღებს ანგარიშს ჩერვონცებით. ამ ნაბიჯის გადადგმა დიდათ გაადვილებს სოფლის მეურნეობის წინსვლას.

როგორც ვთქვით, მარტყოფის თემის მიწები მოუსავლიანი ადგილებია. სოფლელთა დიდ უმრავლესობას არ ჰყოფნის საკუთარი პური. წრეულს კი გვალვის გამო უპუროდ არის მთელი თემი უკვე ეხლაც, როდესაც პური ახლად აღებულია. პური ადგილობრივ კოოპერატივში მოდის ტფილისის კოოპერატივიდან და მოტანის თანავე იყიდება. აღსანიშნავია, რომ რათა სოფლელებს იაფად მიაწოდოს პური, კოოპერატივი მასში თუ არ ზარალობს, თორემ არაფერს იგებს.

ერთად-ერთი ადგილი, სადაც მიწის სინოყიერის გამო ბლომად მოვიდოდა პური, არის ვაზიანი ანუ ქაცნია, რომ ეს ადგილები ირწყვებოდეს. გასული წლის გაზაფხულზე ერთმა „წითელმა შაბათობამ", რომელსაც ყოველი სოფელი ეხლაც აღტაცებით იგონებს, ჩაუყარა საძირკველი არხს. არხის სათავეა მდინარე იორი უჯარმის მახლობლად; არხის სიგრძე 25 ვერსი უნდა იყვეს; სამაგიეროდ ის მორწყავს მარტყოფის ველს, სამგორს, ლილოს და მიაღწევს ნავთლუღამდე; მორწყავს 40 ათას დესეტინა მიწას. მოწეული პური არა თუ საკმაო, მეტიც იქნება მთელ თემისათვის. ამოცანა ეს მეტად ძნელი შესასრულებელია, მაგრამ შედეგებიც დაუფასებელი იქნება.

მარტყოფში მიწის რეფორმა ნახევრად არის გატარებული. მიწები თუმცა ჩამორთმეულია, მაგრამ განაწილება არ მომხდარა; არც სოფელ მარტყოფს არ აქვს მიმიჯნული თავისი ნორმა. რეფორმის გატარების დაგვიანებით სოფლელები არ არიან კმაყოფილნი. მიზეზი დაგვიანებისა არის მიწის მზომელის დანაკლისი.

როგორც მარტყოფის შეფი, ექსპედიციის მუშები ვშუამდგომლობთ მიწათმოქმედების კომისარიატის წინაშე, რათა უახლოეს დღეებში მივლინებულ იქნეს მიწისმზომელი სოფელ მარტყოფში სოფლებისათვის ნორმის მიმიჯნისათვის.

აქვს კიდევ ერთ მცირეოდენ უკმაყოფილებას სოფელში ადგილი, რომლის შესახებ აგრეთვე საჭიროდ ვსცნობთ შუამდგომლობას ქალაქის აღმასკომის წინაშე. სოფლელებს ქალაქში თავისი საქონლის შემოტანის დროს ხდება გადასახადი, რომელიც დანიშნულია გზების რემონტისათვის. საერთოდ ასეთი გადასახადებით უკმაყოფილოა სოფელი და მაშინ კი, როდესაც მას ფული ჯიბეში არ აქვს, (და ეს ხშირად არის, მაშინ, როდესაც მას გასაყიდი შემოაქვს ქალაქში) ის მეტად გაბრაზებული, იძულებულია თავისი საქონლით უკანვე დაბრუნდეს. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს და თუ შესაძლებელია ეს გადასახადი სრულებით იქნეს მოხსნილი, მით უმეტეს, რომ მეტი წილი ამ გადასახადისა, ამკრებთა შტატის შენახვას უნდება.

მარტყოფის შეფი.

პარტიის ისტორიიდან ზღაპრული ელემენტი უნდა განდევნილ იყოს

(წერილი რედაქციის მიმართ).

დაგვიანებით გავეცანი ჟურნ. „რევოლიუციის მატიანეს"-ს მესამე ნომრის შინაარსს. ჩემი ყურადღება, სხვათაშორის, მიიქცია იმ შენიშვნამ, რომელიც რედაქციის სახელით დართული აქვს ამხ. რუბენის სტატია-მოგონებას (გვ. 159—160, სხოლიო). შენიშვნის ავტორს, თუ ავტორებს, უნდა ვიფიქროთ, ამოძრავებდა სურვილი ფაქტიური სინამდვილის სისწორით აღდგენისა, რაიც (სინამდვილე) ამხ. რუბენის წერილში, რედაქციის შეხედულებით, ერთგვარათ გადაჭარბებული და გამრუდებულია. მაგრამ გამოსწორების მაგიერ, შენიშვნა კიდევ უფრო ბუნდოვანათ ხდის საკითხ, თან საოცარ „ახალ ამბავს" შეიცავს.

ამხ. რუბენი მოგვითხრობს ორ მიმდინარეობის („ლეგალისტები" და „არალეგალისტების") შესახებ, რომლებსაც თავი უჩენიათ ტფილისის ორგანიზაციაში 1920 წლის მაისიდან ე. ი. მას შემდეგ, რაც მოხდა რუსეთ-საქართველოს შუა ზავის ჩამოგდება, ჩვენი ამნისტია და საქართველოს კომპარტიის ცალკე ორგანიზაციად გამოცხადება.

„რევოლიუციის მატიანე"-ს რედაქციას გადაჭარბებულათ მიაჩნია „საქართველოს კომ. პარტიის ჯგუფობრიობაზე ლაპარაკი" ლეგალიზაციის პირველ დღეებში. არა თუ გადაჭარბებულათ, არამედ სავსებით უსაფუძვლოთ მიმაჩნია პირადათ მე ამხ. რუბენისებური შეფასება მაშინდელი პარტიული ვითარებისა. ციხეების დაცლის შემდეგ ტფილისში მოხდა პარტიული თათბირი, რომელსაც დაესწრენ ყველა კუთხის ორგანიზაციების პასუხისმგებელი მომუშავენი, და ამ თათბირზე საკითხადაც კი არ დასმულა შენარჩუნება არალეგალური ორგანიზაციის და სათანადო მუშაობის მეთოდებისა: ძირითად ფორმად პარტიულ ორგანიზაციისა და მუშაობისა აღიარებულ იქნა, თანახმად უმაღლეს პარტიულ ინსტანციისა (რ. კ. პ. ცეკა), ლეგალური ორგანიზაციები. საქართველოს კომპარტიაში ეს საკითხი არც შემდეგში ყოფილა სადაო, ყოველ შემთხვევაში ის **არც ერთხელ არ დასმულა პარტიული წესით.** მაგალითად, 1920 წ. ნოემბერში შესდგა ცეკასთან ხელახალი თათბირი, რომელსაც კონფერენციის ხასიათი უნდა ჰქონოდა მხოლოდ; მაგრამ დამსწრე დელეგატების უმეტესობის სურვილით, თათბირი „სიეზდათ" იქნა გამოცხადებული. ბუნებრივათ, ამ „სრულუფლებიან სიეზდზე" წამოიჭრებოდა ასეთი ძირითადი სადაო საკითხი და გადაიჭრებოდა. მაგრამ არც სიეზდს და არც ამ სიეზდზე არჩეულ ცეკას არ წამოუყენებია საკითხი—„ლეგალური თუ არა-ლეგალური ორგანიზაცია"?

და საოცარია ამას შემდეგ „მატიანე"-ს რედაქციის შენიშვნის ბოლო ნაწილი, რომელიც მომყავს:

„ეს დავა პარტიაში ღრმავდა, გამწვავდა დამოკიდებულება ამ ორ სხვადასხვა პარტიულ ხაზის მატარებელთა შორის 1920 წლის მიწურულში ოქტომბერ-ნოემბერში. ეგრედ წოდებულ „ლეგალისტების" ჯგუფს ამ დროს მეთაურობდა საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი ამხ მამია ორახელაშვილი და საბჭოთა რუსეთის მისიის წარმომადგენელი საქართველოში ამხ. კიროვი, ხოლო „არა-ლეგალისტების"—დამოუკიდებელ მიზეზთა გამო საქართველოს საზღვრებს გარეშე მოქცეული (ბაქო-მოსკოვში იყო), ამხ. ფილიპე მახარაძე, საქართველოში მყოფ კომუნისტების დიდი ნაწილის გარშემო შემოკრებით".

თუ რამდენი სიმართლე, ან და ხელოვნური, ქმნილ-ზღაპრული ელემენტია ასეთ განცხადებაში, ჩემს ზემონათქვამ სიტყვებიდანაც სჩანს დავსძენ მხოლოდ შემდეგს:

1) არავითარი „ჯგუფის" მეთაური მე არ ვყოფილვარ. მე ვიყავი ცეკას წევრი, აგრეთვე წევრი „კავბიურო"-სი. ცეკას დანარჩენ წევრებთან ერთად (პირველ ხანებში—ამხ. გიორგი სტურუა, ბეკზადიანი, მრავიანი; შემდეგში—ამხ. მალაქია ტოროშელიძე, სანდრო თუმანოვი, ვანო სტურუა და სხ) **მე გამტარებელი ვიყავი გამომუშავებულ და დადასტურებულ პარტიული ხაზის და პარტიის უმაღლეს ორგანოს დირექტივების.**

2) რედაქციის ცნობა ამხ. კიროვის შესახებ აბსოლიუტურათ უსაფუძვლოა და შეცდომის ნაყოფი. **ამხ. კიროვი არა თუ არ ხელმძღვანელობდა არავითარ ჯგუფს, მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ჩვენი პარტიის ცეკას მუშაობაში, ცეკას არც ერთ სხდომას არ დასწრებია.** ოქტომბერ-ნოემბერში ის ვერ იქნებოდა „მოთავე და ხელმძღვანელი" ვისიმე იმიტომაც, რომ ამ დროს ის უკვე გაწვეული იყო საქართველოდან რ. კ. პ. ცეკას მიერ.

მამია ორახელაშვილი.

P. S. „რევოლ. მატიანე"-ს რედაქციას ვსთხოვ ამ წერილის გადაბეჭდვას ჟურნალის მორიგ ნომერში

მ. ო.

მთავრობის დადგენილებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 35.

4 სექტემბერი 1923 წ.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა

ს. ს. ს. რ. სოცდაზღვევის ყველა კასებს

„პენსიის და აგრეთვე დაზღვევის დამატებითი სახეთა და უმუშევრობის დახმარებათა ნორმების გამონაგარიშების შესახებ".

ა. | კ. შრ. სახ. კომისარიატის საქ. რწმუნებულის ა | წ. 3 მაისის თარიღით № 14 დადგენილების შესაცვლელად და თანახმად ამავე კომისარიატის 23 აგვისტოს ცირკულიარისა № 85 საქ ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატმა **დაადგინა:**

სოცდაზღვევის დახმარებათა და პენსიათა რაოდენობა დაწესდეს აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულების არა უმეტეს 70 პროც. რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის სამმართველო ყოველ თვის დასაწყისში აქვეყნებს აღნიშნულ პენსიათა და დახმარებათა რაოდენობას ა. | კ. ფულის ნიშნებით

ამა სექტემბრის თვისათვის წესდება:

ა) ბავშვის მოსავლელად (მშობიარობა) 57.880.000 მან.

ბავშვის საკვებად 15.083 000 მან.

დაზღვეულისა და მათი ოჯახის წევრების და სამარხი, გარდაცვალებულის წლოვანების დამიუხედავად 57.880.000 მან.

ბ) 1-ლი კატ. უმუშევართათვის (კვალიფიციური მუშები, სტაჟის დამიუხედავად) 41.343 000 მან.

მე-2 კატ უმუშევართათვის (არა კვალიფიციური) 28.940 000 მან.

გ) 1-ლ კატეგორიის ინვალიდთათვის 57.880 000 მან.

მე 2 კატეგორ. ინვალიდთათვის 41.343.000 მან.

მე-3 კატეგორიის ინვალიდთათვის 28 940.000 მან.

ოჯახისათვის, რომელმაც დაჰკარგა მარჩენელი და შესდგება ერთი შრომის უნარ მოკლებულ წევრისაგან —20.671 000 მან.

ორი შრომის უნარ მოკლებულ წევრისაგან 28.940.000 მან.

სამი შრომის უნარ მოკლებულ წევრისაგან 41.343.000 მან.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი **ლ. დუმბაძე.**

რესპ. სოც. დაზღვევის სამმართველოს უფროსი **კ. ცომაია.**

საერთო საორგ. განყ. გამგე: **ლ. ქურდოვანიძე.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული.

— პარასკევს, 7 სექტემბერს, დილის 9 საათზე, ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ბინაზე მოხდება კრება საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტის.

ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ესსენი**

შაბათს, 8 სექტემბერს, შუადღის 12 საათზე ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების ბინაზე მოხდება თათბირი სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტეხნიკუმის სტუდენტთა შორის სტიპენდიების გამნაწილებელ კომისიისა კრებაზე მოიწვევიან წარმომადგენლები საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კომორგანიზაციისა, კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირისა, სახალხო განათლებისა და პოლიტგანათლების განყოფილებისა.

სააგ. საპრ. განყ. გამგე **მ ესსენი.**

— რაბფაკის და სახ. უნივერსიტეტის შეერთებულ კომუჯრედის ბიურო იუწყება, რომ პარასკევს, 7 სექტემბერს, დღის სამ საათზე. სახ. უნივ. ბინაზე, მოწვეულია შეერთებულ კომუჯრედის ბიუროს სხდომა. დანიშნულ დროს სავალდებულოა გამოცხადდეს ბიუროს წევრების გარდა შემდეგი ამხანაგები: ა. ბუაჩიძე, გ. ნუცუბიძე, პ. ბუაჩიძე, ი. ნიკოლაევა, ს. მდივანი და კ. ეხიაშვილი.

მდივანი **ლ ე ჟ ა ვ ა,**

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტიის ყველა წევრებს და კანდიდატებს, რომელნიც ამჟამად მუშაობენ, ან როდისმე მუშაობდენ, დაზღვევ დაწესებულებებში და იციან დაზღვევის საქმე, გატარდენ რეგისტრაციაში 10 სექტემბრამდე, ტფილისის კომიტეტის სააღრიცხვო-სასტატისტიკო ქვე-განყოფილებაში.

ტფილისის კომიტეტის მდივანი **რ უ ბ ე ნ ი.**

სააღრიცხვო-სასტატისტიკო განყოფილების გამგე **ბ ა რ ს ე გ ო ვ ი.**

განცხადებები

უჯარმის ქათილ მომჭირნის ქვე განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ორშაბათს, 10 სექტემბერს, დღის 12 საათზე,

აღმასკომის დარბაზში

დანიშნულია

საჯარო შეჯიბრება

სხვადასხვა საალმშენებლო სამუშაოზე.

ყოველგვარ ცნობების მიღება შეიძლება უქს ის კანცელარიაში ოთახი № 40. 601—2—1

ტფილისის ტელეფონის ქსელის უფროსისაგან

გამოვიდა და იყიდება:

„ტფილისის ტელეფონის ქსელის აბონენტთა ნუსხა",

გამოცემული ამ.-კავ. ფოსტა-ტელეგრაფ. სახ. კომისარიატის და სააქციო წიგნის გამომცემელ საზ-ბის „წითელი წიგნის" მიერ.

ნუსხა შეიცავს ტელეფონთა ყველა №№ უკანასკნელი ხიის მიხედვით, აბონენტთა დამატებებით და შესწორებებით და აგრეთვე

აბონენტთა დაწვრილებითი მისამართს.

ვინაიდან ნუსხა ყოველმხრივ სრული არის, არავითარი ცნობები ნუსხაში შეტანილ აბონენტთა შესახებ ცნობათა განყოფილების მიერ

არავის მიეცემა

აბონენტთა გამოწვევა არა №-ბით, არამედ მარტოოდენ დაწესებულებათა სახელწოდებით შესრულებული არ იქნება.

ფასი 2 მანეთი ჩერვონეცით

ნუსხის შეძენა შეიძლება ტფილისის ტელეფონის ქსელის უფროსის კანცელარიაში.

ტელეფონის ქსელის გამგეობა.

600 2—1

რ. ს. ფ. ს. რ.

პურით და სასოფლო-სამეურნეო სხვა პროდუქტებით მოვაჭრე სააქციონერო საზოგადოება

„ხლებოპროდუქტი"

ტფილისის კანტორა

რუსთაველის პროსპ. № 9 ტელეფ. 14—47 და 7—14.

მუდმივად არის

საწყობებში ფქვილი, ბურღული, მაკარონი,

მიიღება დავალებანი

სახელმწიფოებრივ და კოოპერატიულ დაწესებულებათაგან რუს. საბჭოთა სოც. ფედ. რესპუბლიკიდან ფქვილის, ხორბლის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების

მისაწოდებლად.

(კრ. 588—3—3)

ელექტრონის სინათლის

სამკურნალო

საწოლებით **რენტგენი დ' არსონვალი**

მიხეილ ბედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის რომელნიც **ფიზიკურ** [illegible] ექიმობას საჭიროებენ.

[illegible] **ექ. სვიმონ ყიფშიძის** [illegible]

[illegible] ტფილისი, ყორღანოვის ქ № 20 (601 26 10

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიღებული ჩოხატაურის თემის აღმასრულებელ კომიტეტისაგან ვახტანგ ცინცაძის სახელობაზე № 117-ით. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დაიკარგა პროფკავშირის წიგნაკი № 1557, ალექსანდრე ილიასძე ადამიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1174 1—1.

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, კრუზენშტეინის ქუჩა № 6.